გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 2005 წელი.

№247 (5280)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცდილობით და ჭირებით ბურთის გატანა ყველა უპირატესობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## მოუმწიფარი პრიმიტივები, იმერულ კარ-მიდამოს დამსგავსებული რიყე და ბიზნესმენთათვის ჩაწურული ყურძენი



იხ. მე-2 გვ.





## ამ პარლამენტარებს რაღა თანაშემწეები სჭირდებათ?



იხ. მე-3 გვ.

**რა გამოდის, ბატონებო?** ჩვენ ველოდებოდით საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას, დაზოგვას, თქვენ კი ითხოვთ მათს გადიდებას, ახალი ინსტიტუტის შექმნას? წლეულს 5-6 მილიონი ლარი არ გაიმეტეთ ქართველი მევენახეებისთვის (ისიც, — კრედიტად) და ახლა 10-12 მილიონს ითხოვთ თანაშემწეებისთვის (თანაც, — ხელფასად)? თქვენი აზრით, რომელი სფერო უფრო სასარგებლოა ქვეყნისთვის, — მევენახეობა თუ თანაშემწეობა?

## „სახელმწიფომ მათხოვრებად გვაქცია“

**ამბობს ანაბარდაკარგული პენსიონერი, რომელიც გაჭირვებამ რედაქციაში მოიყვანა**





**როცა ბიუჯეტში** სამთავრობო სტრუქტურების თუ პარლამენტის ხარჯები წარამარა იზრდება, რა დააშავეს პენსიონერებმა, რომლებიც საარსებო მინიმუმის მეოთხედსაც ვერ იღებენ? კარგია, რომ გზებზე ასფალტი იგება, ახალი შადრევნები იხსნება, მაგრამ არა მგონია, ამან გაჭირვებულები დააპუროს.

იხ. მე-4 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### მოხელეთა სერტიფიცირება დღეს იწყება

**ცენტრალური** საარჩევნო კომისია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას იწყებს. საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველთა ტესტირება 5 ნოემბერს დაიწყება, განაცხადების წარდგენის ვადა კი 25 ოქტომბერს იწურება.

ტესტირების გავლის შემდეგ, კონკურსის წესით ის პირები გამოვლინდებიან, ვინც საოლქო საარჩევნო კომისიებში იმუშავებს, ამავე წესით შეივსება ცესკოს აპარატში არსებული ვაკანსიები. ამისთვის კი სერტიფიცირებულ კონკურსანტებს 70-ზე მეტი ქულის მოპოვება მოეთხოვებათ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, შესაბამისი განაცხადით მათ უკვე მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის 1 500-მდე მსურველმა. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შემდეგ, სერტიფიცირების პროცესი საარჩევნო უბნებისთვის დაიწყება.

### საქართველოს კარგი პერსპექტივები აქვს

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი მიიღო. გელა ბეჟუაშვილმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კმაყოფილია საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით. კერძოდ, ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის მიმდინარეობით. ბეჟუაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავარ მიზნად კვლავ რჩება ნატოში გაწევრიანება და ამ მიზნისკენ საქართველო მიზანიმართულად მიდის. საგარეო საქმეთა მინისტრს მიაჩნია, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს.

### მოადგილეების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრის ოთხი მოადგილის ვინაობა კვლავ უცნობი რჩება. როგორც 24 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, მოადგილეების ვინაობას უახლოეს მომავალში თავად დაასახელებს.

კულუარული ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობის სავარაუდო კანდიდატებად სახელდებიან საქართველოს ელჩი შვეიცარიაში ვალერი ჩეჩელაშვილი და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მოადგილეები კოტე ქავთარაძე და ლევან ბოძაშვილი.

### ლეიბორისტების ახალი ინიციატივა

**საქართველოს** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში ქართული კონტინგენტის დამატების ინიციატივით გამოდის. როგორც პარტიის პრესსამსახურში განაცხადეს, ასეთი წინადადება შალვა ნათელაშვილმა მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ვალერი ლოშჩინინთან შეხვედრაზე დააყენა.

გარდა ამისა, ლეიბორისტთა ლიდერმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ენგურის ხიდთან ფაქტობრივი საზღვრის გაუქმება და სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება ყველა დასახლებულ პუნქტში, მდინარე ფსოუმდე.

ინტერპრესნიუსი





იხ. მე-8 გვ.

**— აბა საშენოდ ყოფილა საქმე, ხოცე თურქეთიდან მომავალი იხვები და პარლამენტში შეყარე!**

## ◉ პანორამა

**შეერთებული** შტატები არ აპირებს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ჩრდილოეთ კორეასთან. ეროვნული უშიშროების საკითხებში შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩევლის სტივენ ჰედლის თქმით, საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ „ურთიერთობის გაუმჯობესებას ჩრდილოეთ კორეასთან. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ნაბიჯებს გადადგამს ფხენიანი“. ბირთვული პრობლემის გარდა, კიდევ არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც იწვევენ არა მარტო შეერთებული შტატების, არამედ მთელი საერთაშორისო გაერთიანების შეშფოთებას, დასძინა ჰედლიმ.

* * *

**ბრიტანეთში** მკვდარ თუთიყუშს აღმოაჩნდა „ფრინველის გრიპის“ ყველაზე საშიში სახის ვირუსი. ეს თუ-



თიყუში სექტემბრის შუა რიცხვებში ჩამოიყვანეს ბრიტანეთში სამხრეთ ამერიკიდან. სანიტარიული ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, ფრინველი კარანტინში მოათავსეს, სადაც იგი მალე მოკვდა კიდეც.

* * *

**„ჰაბლ“** ტელესკოპის საშუალებით, მთვარის ზედაპირის ერთ-ერთ რაიონში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობის მინერალი — ილმენიტი. გახურებისას ან მასში ელექტრული დენის გატარების შემდეგ, ილმენიტი გამოყოფს ჟანგბადს, რომელიც შეიძლება გამოდგეს სუნთქვისთვის ან რაკეტის საწვავის სახით.

* * *

**ლონდონში** დააკავეს ტერორისტი — იმრან პათელი, რომელიც უნდა ყოფილიყო მეხუთე კამიკაძე-ტერორისტი 7 ივლისს განხორციელებული ტერაქტის დროს. როგორც დაკავებულმა თქვა, ტერორისტთა ლიდერმა — მოჰამედ სადიქ ჰანმა სთხოვა მას შეერთებოდა ტერორისტთა ჯგუფის წევრებს, რაზეც იმრანმა უარი განაცხადა.

## რუსეთი კავკასიიდან არ წავა



**ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე**

იხ. მე-3 გვ.

## ახალი ფრონტი და „ძეხვის მომლოდინე კატები“, ანუ „შევარდნაძის ნარჩენები“

იხ. მე-2 გვ.

## „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს...“

**ადამიანები**, რომლებიც დღეში 2 დოლარს ხარჯავენ, სრულიად ღატაკებად ითვლებიან, ხოლო ისინი ვინც 4 დოლარს მოიხმარენ ყოველდღიურად, ეკონომიკურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამას ამბობს ამერიკელი ექსპერტი. არადა, დღეში თითოეულს 4 დოლარი რომ გვქონდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!



**მავანნი ფულში იხრჩობიან, უმეტესობა კი...**

იხ. მე-4 გვ.

## ინტელიგენტი – უჩინმაჩინი



**ილფის** და პეტროვის წიგნის ერთ-ერთი გმირი — ინტელიგენტი-ზეინკალი პოლესოვი ხშირად ამბობდა ხოლმე „უქონლობის არსებობის პირობებში“. დავესესხოთ მას და ჩვენც ვთქვათ: „ასეთია ინტელიგენცია თავისი უქონლობის არსებობის პირობებში“.

დიახ, ინტელიგენტი ადამიანები რეალურად არსებობენ, ინტელიგენცია კი, როგორც სოციალური ერთობა — ფიქციაა, მირაჟი, ფანტომი. და ცნებებიც, რომლებიც გამოიყენება მის დასახასიათებლად — იდეოლოგემები, მითოლოგემები, ფსევდოცნებებია.

რისთვის გვჭირდება მთელი ეს ახსნა-განმარტება? მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანმა, რომელიც წაიკითხავს ან მოისმენს სოციოლოგების, პოლიტიკოსების, ფსიქოლოგების, ჟურნალისტების გამოსვლებს, ხშირ-ხშირად რომ ახსენებენ სიტყვას „ინტელიგენცია“, შეიგნოს და გაიგოს, რომ მას მხოლოდ თვალში ნაცარს აყრიან და ატყუებენ.

Литературная газета

## კაცი, რომელმაც ქართველების გული 30 მილიონითაც ვერ მოიგო

იხ. მე-3 გვ.

## ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მიხეილ სააკაშვილის შეღებილი ფასადები

იხ. მე-5 გვ.

◎ თბილისობის კვალდაკვალ

# მოუმწიფარი პრიმიტივები, იმერული კარ-მიდამოს დამსგავსებული რიყე და ბიზნესმენთათვის ჩაწურული ყურძენი



**22 ოქტომბერს, აბანოთუბანში, მეტეხის ხიდთან და გორგასლის მოედანზე საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურებოდა საბავშვო თეატრალიზებული წარმოდგენები, ქართული და სხვადასხვა ეთნოჯგუფების მიერ გამართული ფოლკლორული კონცერტები, ოჩოფეხებზე შემდგარი მასხარები და ძველი საბრძოლო-სპორტული ხელოვნება — ხრიდოლი...**

მშვენიერი ამინდის მიუხედავად, ყოველ სანახაობას მაყურებელი აკლდა. რა მოხდა? — თბილისელები ნამდვილ სახალხო სეირნობებს და დღესასწაულებს „გადაეჩვივნენ" თუ... უსახსრობის გამო, არ ეზეიმებათ? რა თქმა უნდა, ქუჩაში ბავშვთან ერთად გამოსულ კაცს, ჯიბეში სოლიდური თანხა უნდა გედოს, რომ მინიმუმ სამმაგად გაძვირებული ყველაზე უბრალო სათამაშო ან რაიმე სასუსნავი უყიდო შვილს. ვინც არ იცის ნებისმიერი ბავშვის — ქუჩაში, თანატოლების წამხედურობით გათამამებულთა მადა, — ერთ გუშინწინდელ დიალოგს შევახსენებ:

— მამიკო, ახლა ეს გაბერილი კურდღელი მიყიდე, ეხვეწება ხუთიოდე წლის გოგონა ახალგაზრდა მამას.

— გაბერილი ბუშტები ხომ გიყიდე... აკი, წეღან ხაჭაპურს მთხოვდი...

— ხაჭაპურს და კოკა-კოლას, კიდევ — ნამცხვარი, კანფეტი...

— მე შენ სახელი უნდა შეგიცვალო და „მიყიდე, მიყიდე" შეგარქვა...

— შენ კიდევ, „ფული არა მაქვს, ფული არა მაქვს" უნდა გერქვას.

მამას გაეღიმა და ონავარი გოგონა მხრებზე შემოისვა.

მიყიდე! მიყიდე! მიყიდე!

ფული არა მაქვს, ფული არა მაქვს — კი ამბობს ამას მშობელი, მაგრამ ვაი ამ თქმას... ბავშვს (ბავშვებს) ხუთ წუთში ავიწყდებათ ყოველივე და თავიდან იწყება ქონა-არქონის მაუწყებელი დიალოგი.

* * *

**პარასკევს საღამოს „ქარვასლის" დარბაზში რამდენიმე თემატური გამოფენა მოეწყო. მათგან უმთავრესი — რიყის განაშენიანების დეტალური პროექტების, უფრო ზუსტად აბსტრაქტული მაკეტების გამოფენა იყო.** როგორც ადრე ვწერდით, თბილისის ამ ცენტრალური უბნის განაშენიანებასთან დაკავშირებით რამდენიმე კონკურსი გაიმართა, რომლებიც ქალაქის ხელმძღვანელობას იმდენად „არასრულფასოვანი" მოეჩვენა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. იმ დღეს ცნობილი ურბანისტი და არქიტექტორი, პროფესორი ვლადიმერ ვარდოსანიძე მეუბნებოდა: საინტერესოა, ამ სერიოზულ თემაზე რატომ გამოაქვთ კონკრეტულად ერთი პროექტი? თუ ადრე 150-მდე არქიტექტორის ნაწარმოები არ იყო სრულყოფილი, მაინცა და მაინც ეს იქნება? გასაგებია, რომ რომელიღაც პოლიტიკოსისთვის, ქალაქის ხელმძღვანელობისთვის ეს არის „პიარი", მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი?

ბოლო ხანს ასე უგულებელყოფილმა ქართველ არქიტექტორთა ერთმა ჯგუფმა კი ასეთი შეფასება მისცა ქარვასლაში, თბილისობაზე წარმოდგენილ რიყის „განვითარების" კონცეფციას: შეუძლებელია თანამდებობის პირები გამოდიოდნენ და ხელის ერთი მოსმით აპროექტებდნენ ქალაქს. კონკრეტულად რიყის განაშენიანების პროექტი ქუთაისის, იმერეთის ერთ-ერთ, რიგით საკარმიდამო უბანს გვაგონებს, არადა, ამ ვრცელ ტერიტორიაზე ულამაზესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა შეიძლებოდა.

თბილისის პრემიერი თემურ ქურხული კი ამბობს: რესტორნები, რომლებიც დღეს რიყეზეა განთავსებული, კერძო საკუთრებაა და მათ მეპატრონეებს ამ ტერიტორიიდან ვერ გავუშვებთ, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარე, ისე შევიწროვდებიან, რომ, ალბათ, თავადვე მიიღებენ რაიმე გადაწყვეტილებას!

აქამდე ლამის თითოეულმა თბილისელმა იცოდა, რომ რიყის განაშენიანების გენერალური პროექტის შედგენამდე, დედაქალაქის მერიამ ეს ადგილი იჯარით, დროებით გასცა რამდენიმე მოქალაქეზე, თანაც იმ პირობით, რომ როცა დედაქალაქს დასჭირდება, სავაჭრო დუქნები (რესტორნები) დაინგრევა და თანამედროვე არქიტექტურული კომპლექსი გაშენდება. როგორც ჩანს, იჯარით დროებით აღებული ფართობები, მერიის, მთავრობის და საკრებულოს ჩინოვნიკებმა სოლიდურ გასამრჯელოდ (აშკარა კორუფციული გარიგებით) დაუმტკიცეს რესტორნების მეპატრონეებს. სხვაგვარად, იჯარით გაცემული ფართობის დაკანონება დიდი უსამართლობაა.

ასე, რა თქმა უნდა, ვერც ერთი არქიტექტორი და მშენებელი ღირებულ რამეს რიყეზე ვერ შექმნის...

* * *

**ქართველი კაცისთვის ყურძნის დაწურვის რიტუალი განუმეორებელ რელიგიურ რიტუალებს უტოლდება. თბილისობა-2005-ის მთავარი ღონისძიებაც სწორედ გიგანტურ საწნახელში ოც ტონამდე ქარვისფერი რქაწითლის ჩაწურვის ცერემონია გახლდათ.** მართალია, სისუფთავე-სანიტარიის ნორმებს აქ ვერ დაიცავდი, მაგრამ, რაღაც განსაკუთრებული, სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შემაკავშირებელი, სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის გამომხატველი რიტუალი, სახელდახელო სპექტაკლი ნამდვილად გამოვიდა. ყურძნის დაწურვაში, სხვა უცხოელებთან ერთად, თბილისთან დაძმობილებული საარბრიუკენის ვიცე-მერი, დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ყველაზე მეტი ყურძენი გახარებულმა გიგი უგულავამ, მისმა მეგობარმა პოლიტიკოსებმა, ქართველმა ჩოხოსნებმა და სპორტსმენებმა დაწურეს.

ერთი რამ გამიკვირდა მხოლოდ, — ისე რამ გააწუწურაქა კომპანია, „სარაჯიშვილის" ხელმძღვანელობა, რომ თუნდაც სათქმელად, წინასწარ მომზადებულ რამდენიმე ხელმოკლე თბილისელს ათ-ათი ლიტრი ბადაგი არ უფეშქაშა? ხალხი წუხდა — თვითონ წურავენ და ღვინის დასამზადებლად მხოლოდ ქარხანაში მიაქვთო!.. ეს ღვინო რომ „გაბოთლდება", ხომ იცი მერე რა თასს დაადებენო!..

„გაბოთლებული" ღვინო — სარაჯიშვილელებს, „მამა-პაპური" ნაწუნწკლი კი — ჩვენ!.. სხვა რა გზაა.

ზედ საწნახლის უკანა მხარეს დამონტაჟებულ სცენაზე ქართული ანსამბლების კონცერტი მიმდინარეობდა. ცას სწვდებოდა უტკბილესი „ლილეო" და „მრავალჟამიერი", ღვინოსავით გამაბრუებელი საესტრადო სიმღერების ჰანგები...

აქვე, სცენაზე, საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა, გიგი უგულავასთან ერთად, თბილისის ახალი საპატიო მოქალაქენი დააჯილდოვა. თბილისის სიმბოლური გასაღები და ჩვენი დედაქალაქის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სიგელები გადაეცათ **მხატვარ ემირ ბურჯანაძეს და გერმანიის მოქალაქეს, პროფესორ გერჰარდ ლუქსს. მოგვიანებით ეს ჯილდო მიიღო ლეგენდარულმა სპორტსმენმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა, რომელიც კვირას ჩამობრძანდა თბილისში** და თხუთმეტი წლის უნახავი კავკასიონის ულამაზესი მთები რომ დაინახა... ატირდა.

ეტყობა, მაინც სხვა ფასი აქვს საქართველოს განუმეორებელ სილამაზეს, მით უფრო, თუ აქ ხარ დაბადებული და გაზრდილი.

* * *

**ნაკლები რეკლამა და უფრო მეტი გაკეთებული საქმე, საოცრად კოლორიტული სანახაობა მოუმზადა თბილისელებს რესტორანმა „ძველმა სახლმა".** მიწვეული სტუმრებისთვის, ძირითადად უცხოელებისთვის, რესტორნის ეზოში გაჩაღდა შუა ცეცხლი, დუღდა თათარა და ავლებდნენ ჩურჩხელებს. სტუმრების თვალწინ ხდიდნენ ჭაჭის არაყს... რესტორნის შენობაში კი თვალს ახარებდა თექის ნამუშევრების და ფერწერული ტილოების გამოფენა. მომავალ „თბილისობაზე", როცა რესტორანს 5 წელი შეუსრულდება, უფრო შთამბეჭდავ ღონისძიებებს გვპირდებიან.

* * *

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისობის დღესასწაულზე ქალაქის ახალმშენებლობების პრეზენტაციას დაესწრო. გამორჩეული იყო პრეზიდენტის სტუმრობა 143-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ბეისბოლის ახალი მოედანი გაიხსნა. ნანახით აღფრთოვანებულმა პრეზიდენტმა ჩვეული პირდაპირობით მიმართა „მოუმწიფარ პრიმიტივებს, ვისაც არ სჯერა ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლების აღმშენებლობის კურსის და ოპოზიციაში ჩაუდგა მას", — ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს, მათ შორის ბეისბოლის პირველი მოედანიც, რადგან სპორტის ამ სახეობამ მსოფლიოს მილიონობით ადამიანი დააინტერესა... თბილისი ამ მხრივაც გამორჩეული ქალაქი იქნება... სწორედ ამ პრიმიტივების გასაგონად ვამბობ, რომ თბილისი მალე ევროპულ ქალაქად იქცევა, დასძინა პრეზიდენტმა.**

ღმერთმა უსმინოს ჩვენს პრეზიდენტს.

* * *

კვირა საღამოს თავისუფლების მოედანზე თბილისობის დასკვნითი ღონისძიება — გრანდიოზული კონცერტი და ფეიერვერკი ვიხილეთ.

ასე გასრულდა თბილისობა-2005.

**სპარტაკ ქოზულია**

**გივი ჯოლბორდისა და ინტერპრესნიუსის ფოტო.**





◎ ინფორმაცია

## რკინიგზის აღდგენას ორი წელიწადი დასჭირდება

**რუსმა, ქართველმა და აფხაზმა რკინიგზელებმა სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა დაასრულეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ 17-23 ოქტომბერს სოხუმში გამართულ შემაჯამებელ შეხვედრაზე მხარეებმა სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები სკრუპულოზურად განიხილეს, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი, რა თანხა იქნება საჭირო სოჭი-ინგირის მონაკვეთის ალსადგენად.**

**ლაკერბაიას განცახდებით, სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით რუსი და აფხაზი სპეციალისტების მიერ მომზადებულ დოკუმენტებში ქართველმა სპეციალისტებმა რამდენიმე სერიოზული შენიშვნა შეიტანეს. მისივე თქმით, ამ მონაკვეთზე არსებული გვირაბების და ხიდების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია თბილისში ინახებოდა. „თავის დროზე, სარკინიგზო მონაკვეთზე გვირაბებისა და ხიდების დაპროექტება სწორედ ქართველმა სპეციალისტებმა განახორციელეს", - აღნიშნა ლაკერბაიამ.**

**დე-ფაქტო ვიცე-პრემიერის თქმით, შემდეგ ეტაპზე მხარეები სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენისთვის საჭირო თანხებს დააზუსტებენ. რუსეთის ტრანსპორტის სააგენტოს სამხრეთ ტერიტორიული ფედერალური ოლქის ხელმძღვანელ ვლადიმერ ბელიანსკის თქმით, სადგურ ფსოუ-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთის ალსადგენად დიდი კაპიტალდაბანდებები არ იქნება საჭირო. რაც შეეხება სოხუმი-ოჩამჩირისა და ოჩამჩირე-ინგირის მონაკვეთს, აქ სარკინიგზო ინფრასტრუქტურა მთლიანად ალსადგენია.**

**ქართული მხარის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, აფხაზურმა მხარემ დაარღვია 2005 წლის 19 ივლისს სოხუმში მიღწეული გადაწყვეტილება და ფსოუ-ინგირის მონაკვეთის შესასწავლად აფხაზეთში არ შეუშვა დევნილი ქართველი რკინიგზელები — ზურაბ კაჭარავა და ბორის ბიგვავა. რკინიგზის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლამდე რუსი ექსპერტები აცხადებდნენ, რომ 194-კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენას 8 მილიარდი რუსული რუბლი (275-280 მილიონი დოლარი) და სულ მცირე 2 წელი დასჭირდებოდა.**



## აქცია საქართველოს სამხედრო გზაზე

**ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი 24 ოქტომბერს დილიდან პარალიზებული იყო.**

**საქართველოს სამხედრო გზა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 6 სოფლის მოსახლეობას აქვს გადაკეტილი. დუშეთის რაიონის სოფელ ბიჩნიგაურთან ცენტრალური ავტოტრასა მათ დილიდან გადაკეტეს. მოძრაობა ორივე მიმართულებით იყო პარალიზებული. აქციის მონაწილენი ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას მოითხოვდნენ.**

**„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ინფორმაციით, მოსახლეობას მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანება აქვს, რის გამოც გამორთულია ტრანსფორმატორები, რომლებიც აბონენტებს ელექტროენერგიით ამარაგებს. მოსახლეობა კი აცხადებს, რომ ელექტროენერგიის საფასურს მანამდე არ გადაიხდის, ვიდრე სოფლებში ინდივიდუალური მრიცხველები არ დამონტაჟდება.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ პრეზიდენტი

# მინდა, რომ თქვენ ჩვენი მოქალაქეების ახალი თაობისთვის მაგალითი იყოთ ისევე, როგორც ჩემთვის იყავით

**— ასე მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 23 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე სახელოვან სპორტსმენს ვიქტორ სანეევს, რომელიც 13 წლის განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. სწორედ ამ დღეს, „თბილისობის" სახალხო დღესასწაულზე მას მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.**

ქვეყნის პირველი პირი გულთბილად მიესალმა სახელგანთქმულ სპორტსმენს და გაიხსენა, როგორ გამოვიდა 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე დამტვრეული სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი.

— მიუხედავად იმისა, რომ ყველა ექიმი უკრძალავდა მას ამ ასპარეზობაში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელი არ შეუწყვეს, უფრო სწორად, ხელიც შეეშალა, იგი მაინც გამოვიდა და ამ ძალიან მძიმე მდგომარეობაში შეძლო ვერცხლის მედლის აღება. ეს იყო ნამდვილი სპორტული და მოქალაქეობრივი გმირობა, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

— სანეევის მიერ საქართველოს დატოვება იყო საქართველოს დაშლისა და განადგურების ერთ-ერთი სიმბოლო. სანეევის საქართველოში დაბრუნება არის ახალი საქართველოს ერთ-ერთი, ჩემთვის ყველაზე საამაყო გამოვლინება. მაქვს პატივი, ხელი მოვაწერო სოხუმში დაბადებულის, საქართველოში გაზრდილის, საქართველოს სახელოვანი სპორტსმენის ვიქტორ სანეევისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენისა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების აქტს, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და მიულოცა მას სამშობლოში დაბრუნება — ჩვენ ძალიან ვამაყობთ თქვენით. გვიხარია, რომ კვლავ თბილისში გხედავთ, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

* * *

**ამავე შეხვედრაზე ქვეყნის პირველმა პირმა ერთგვარად შეაჯამა „თბილისობის" სახალხო დღესასწაული, რომელზეც ჩვენი დედაქალაქი უფრო დამშვენებული და ლამაზი წარსდგა.**

— ჩვენ გადავაქცევთ თბილისს ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალაქად, რომლითაც იამაყებს ყველა თბილისელი, ისევე როგორც მინდა, რომ ასეთი იყოს ყველა ქართული ქალაქი. თბილისი უნდა იყოს ქალაქი, სადაც მის მცხოვრებლებს კომფორტული და ხარისხიანი ცხოვრება ექნებათ. ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე წელი იმისთვის, რომ ცხოვრების სტანდარტები აქ მართლაც წამყვანი ევროპული ქვეყნების დონეზე იყოს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, ბოლო თვეებში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ინფრასტრუქტურის კუთხით: კეთილმოეწყო გზები, აშენდა ასობით საბავშვო მოედანი, განათდა მთელი ქალაქი, რომელიც რამდენიმე წლის ჩაბნელებული და განადგურებული იყო.

— ყოველ წუთს თბილისში რაღაც იცვლება და უმჯობესდება, შენდება ბევრი ახალი შენობა და ბევრად მეტი აშენდება. არ გავა დღე, რომ რაღაც ჩვენს ქალაქსა და მთელ ქვეყანაში უკეთესობისკენ არ იყოს მიმართული. ეს არის ჩვენი მთავარი მიღწევა, რომ ჩვენი ქალაქი თვალსა და ხელს შუა ლამაზდება და შენდება. მინდა, რომ ეს გაგრძელდეს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

◎ ოპოზიცია

# ახალი ფრონტი და „ძეხვის მომლოდინე კატები", ანუ „შევარდნაძის ნარჩენები"

**მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია იქმნებოდა, დაახლოებით ერთი კვირა გავიდა და პრეზენტაციაც მოეწყო. საპარლამენტო ფრაქციის სახელწოდება გუშინდლამდე გასაიდუმლოებული იყო. კონსერვატორებისა და რესპუბლიკელების კოალიციურ ფრაქციაში დამოუკიდებელი დეპუტატებიც შედიან (ჯერჯერობით მხოლოდ სამი უპარტიო წევრია, მაგრამ გაერთიანებული ფრაქციის შექმნის ინიციატორები დარწმუნებული არიან, რომ მათი რიცხვი ბევრად გაიზრდება). ამდენად, ახალ ფრაქციას არაპარტიული სახელწოდება შეურჩიეს — „დემოკრატიული ფრონტი".**

სიმართლე გითხრათ, მე, პირადად, ამ სახელწოდებით არ აღვფრთოვანებულვარ. სიტყვა „ფრონტს" ძველი, გაცრეცილ-გაცვეთილი ლოზუნგების ფერი და გემო დაკრავს, თუმცა, იქნებ ასე მხოლოდ მე მეჩვენება და ხალხს მოეწონოს კიდეც ახალი „ბრძოლის ხაზი". რაკი ლოზუნგები ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ დავით ბერძენიშვილმა ახალი დევიზი წამოაყენა, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა არაკორექტული უწოდეს. ამაზე — ცოტა მოგვიანებით, ახლა კი მივყვეთ პრეზენტაციას.

პირველი სიტყვა ახალი ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარეს დავით ზურაბიშვილს ერგო. გაგვაცნო ფრაქციის შემადგენლობა და აღნიშნა, რომ ეს არის ხალხი, რომელსაც აქვს ოპოზიციაში ყოფნისა და ბრძოლის გამოცდილება.

— ჩვენი აზრით, „ვარდების რევოლუციის" დროს დეკლარირებული პრინციპები და იდეალები, რისთვისაც ასი ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, დღეს, პრაქტიკულად, იგნორირებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ. ყოველ ჩვენგანს, ვინც იმ პროცესებში ვმონაწილეობდით, გვეკისრება პასუხისმგებლობა რევოლუციის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ისეთი რევოლუციური ოპოზიციის შექმნა, რომელშიც გაერთიანდება პარლამენტსა თუ მის გარეთ დემოკრატიის იდეალების გამტარებელი ხალხი. გარკვეულწილად, ეს ჩვენი მოვალეობაც არის.

ზურაბიშვილის თქმით, რევოლუციური ოპოზიცია დემოკრატიულ ფრონტს ხსნის. ჯერჯერობით, ფრაქცია 17 წევრისგან შედგება — რვა კონსერვატორის (კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა, ბიძინა გუჯაბიძე, გოჩა ჯოჯუა, გიგა ბუკია, ბეჟან გუნავა, გუგენ ცანავა), ექვსი რესპუბლიკელი (დავით და ლევან ბერძენიშვილები, ივლიანე ხაინდრავა, თემურ ნერგაძე, ლაშა ნაცვლიშვილი, ვალერი გელაშვილი) და სამი დამოუკიდებელი დეპუტატი (დავით ზურაბიშვილი, გია თორთლაძე, ლევან გაჩეჩილაძე). — იმედი მაქვს, ჩვენი ფრაქცია გაიზრდება და სერიოზულ ოპონირებას გაუწევს ხელისუფლებას არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ მის გარეთაც, აღნიშნა „დემოკრატიული ფრონტის" სარდალმა, უკაცრავად, თავმჯდომარემ.

„ვარდების რევოლუცია", ზურაბიშვილის მსგავსად, ზვიად ძიძიგურმაც გაიხსენა და ხელისუფლების წარმომადგენლები გაკენწლა:

— ჩვენ, ყველანი, რევოლუციონერები ვიყავით და ის დღეები კარგად მახსოვს. მაშინ დღევანდელი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის გამომეტყველება ძალიან ჰგავდა ძეხვის მომლოდინე კატის გამომეტყველებას. ისინი ელოდნენ, როდის განვახორციელებდით რევოლუციას, რათა შემდეგ თანამდებობები ჩაეგდოთ ხელში. ამ სახეებიდან განსაკუთრებით კარგად მახსოვს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც დერეფანში ატუზული ელოდა შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლას.

კონსერვატორებისა და რესპუბლიკელების გაერთიანებას ხელისუფლების წევრები აქტუალურს უწოდებდნენ, რაკი ფიქრობენ, რომ ამ ორ პარტიას საერთო არაფერი აქვს. საპასუხოდ ახალი ფრაქციის წევრები ამბობენ, ჩვენ რევოლუციის დროსაც ვიდექით ერთად და იმდენად კარგად ვითანამშრომლეთ, რომ ხელისუფლება შევცვალეთო. სხვა რომც არაფერი ეთქვათ, ამ მინიშნებითაც ცხადი იყო, ისინი დღევანდელი ხელისუფლების შეცვლასაც აპირებენ. საამისოდ საპარლამენტო ფრაქციის შექმნასთან ერთად მისი მოსახელე მოძრაობაც ფუძნდება.



რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა „ვარდების რევოლუციის" დროინდელი ლოზუნგი გაიხსენა — „საქართველო შევარდნაძის გარეშე!" ამას იქვე მოაყოლა ინტერპრეტირებული ლოზუნგი — „საქართველო შევარდნაძის ნარჩენების გარეშე!" ამ სიტყვებმა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები გააღიზიანა — ასე რატომ არ ფიქრობდნენ მაშინ, როცა თავადაც ამ „ნარჩენებში" შედიოდნენო. საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ კი იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელი იქნება, კონსტრუქტიულად ითანამშრომლონ ახალ ოპოზიციურ ფრაქციასთან. ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ამიტომ გამორიცხული არ არის, ხელჩართული ბრძოლის სცენები ისევ ვიხილოთ პარლამენტში. ეს კია, დავით ბერძენიშვილმა პირობა დადო, რომ ახალი ფრაქცია კონსტრუქტიული, დემოკრატიული ოპოზიციური ძალა იქნება.

„დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლებს არ ეეჭვებათ, რომ გაძლიერდებიან და მათს მხარდამჭერთა რიცხვი დღევანდელი ხელისუფლების მომხრეთა რაოდენობას ბევრად გადააჭარბებს. დემოკრატიული ფრონტი ქართული ალტერნატივისთვის, — დავით ბერძენიშვილის თქმით, ასეთია ოპოზიციის ამოცანა.

კოალიციური ფრაქციის შემქმნელები დარწმუნებული არიან, რომ გაერთიანებით გადადგეს პირველი ნაბიჯი „საქართველოს არაადეკვატური ხელისუფლების" დასამარცხებლად თვითმმართველობის არჩევნებში.

როგორც აღვნიშნე, ფრაქციის თავმჯდომარედ დავით ზურაბიშვილია არჩეული, თუმცა მხოლოდ დროებით. კოალიციურ ფრაქციას მუდმივად ერთი ლიდერი არ ეყოლება, როტაციის პრინციპი ამოქმედდება და თავმჯდომარეები ერთმანეთს შეცვლიან. დავით ზურაბიშვილი, სავარაუდოდ, მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში იქნება ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე.

როგორც იცით, ხმები დადის, რომ ახალ ოპოზიციურ ფრაქციაში გადასვლას უმრავლესობის წევრებიც აპირებენ, თუმცა, მათი ვინაობა დაკონკრეტებული არ არის. „ფრონტელები" უმცირესობის შექმნას გეგმავენ, რისთვისაც, დაახლოებით, ოცდაათი დეპუტატის გადმობირება მოუწევთ. ჯერჯერობით ფრაქციის წევრთა რიცხვი მხოლოდ ჩვიდმეტს შეადგენს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მთავარია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. ახალი ფრაქცია ცნობილი სახეების, გონიერი პოლიტიკოსების სიმრავლით დღევანდელ პარლამენტში გამოირჩევა კიდეც.

**რუსუდან გახარია**

## კომპეტენტური აზრი





# რუსეთი კავკასიიდან არ წავა

ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე

**— ბატონო მამუკა, არ გვეშვებიან რუსული საინფორმაციო საშუალებები. ისინი საქართველოს ადანაშაულებენ ყაბარდო-ბალყარეთში ვითარების გამწვავებაშიც კი. ამ კონტექსტში არაერთხელ ახსენეს პანკისის ხეობა...**

— ნალჩიკის მოვლენები [illegible]

**— ბოლო ხანს რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ძალზე კონფრონტაციულია. [illegible]**

[illegible]

ამერიკის სახით ძლიერი მხარდამჭერი რომ არ გვყავდეს, რუსეთს ვერავინ შეაჩერებდა.

**— საქართველო უნდა იმედოვნებდეს, რომ ამერიკისა და ევროპის ზეგავლენის შედეგად, რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან წავა?**

— რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან [illegible]

**— რას იტყვით ცხინვალში აღლუმზე სამხედრო ტექნიკის გამოყვანაზე?**

[illegible]

იცავს. თუმცა მაინცდამაინც არც დასავლეთია მათი აქედან გასვლის მომხრე. ეუთოს ან გაეროს არაკეთილსინდისიერი მუშაკები სათაო ოფისებში პატაკებს აგზავნიან. მათში არ აისახება, რომ იქ რუსი სამშვიდობოები სცოდავენ.

დიპლომატია გულისხმობს რაღაცის დათმობის ფასად მეორის მოგე-

ბას და — პირიქით. მართალია, ჩვენ ძლიერი მოკავშირეები გვყავს, მაგრამ მათი ტონი ხანდახან ზომიერზე მეტად მკაცრდება, როცა თავზე უფრო მაღლა მოვინდომებთ გადახტომას. ამიტომ ამ მხრივ ძალზე მოქნილი და გააზრებული პოლიტიკის წარმოება გვჭირდება. ამ ფონზე, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა დავკარგეთ სალომე ზურაბიშვილის სახით.

***— რას გულისხმობთ?***

— სალომე ზურაბიშვილის მეშვეობით ჩვენ შეგვეძლო რუსეთზე ზეგავლენა, რადგან ეს ქალბატონი საფრანგეთის სახელითაც ლაპარაკობდა. როდესაც იგი იჯდა ლავროვის წინ, მან იცოდა, რომ მხოლოდ საქართველოს საგარეო მინისტრი კი არ იყო, არამედ საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსისა და უშიშროების დეპარტამენტის ხელმძღვანელიც.

ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილი უშეცდომო არ იყო, ხისტი ხასიათის გამო საერთო ენას ვერ პოულობდა ქართველი პოლიტელიტის წარმომადგენელთან, მაგრამ სიტუაციის შემოტრიალება და შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა ისე, რომ ასეთი დიდი ფიგურა არ დაგვეკარგა. ამით ჩვენ ფრანგებიც გავანაწყენეთ. საფრანგეთი ევროპის უდიდესი და უძლიერესი ქვეყანაა, თანაც რუსეთის მოკავშირეა. ფრანგული გაზეთები უარყოფითად აფასებენ საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯს. რუსებმა ჯარების გაყვანის ხელშეკრულების გადახედვაც კი მოითხოვეს, მათ სალაპარაკო მიეცათ — თუ იგი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი არ ვარგოდა, არც მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი იქნება კარგიო.

გაცილებით უპრიანი იქნებოდა, პრეზიდენტისთვის აეხსნათ, რატომ იყო საჭირო სალომე ზურაბიშვილის გადაყენება და სხვა ფორმა მოეძებნათ. ვიცი, რომ პრეზიდენტი ფიქრობდა უშიშროების საბჭოს მდივნად მის გადაყვანაზე. ისეთი რა ჩაიდინა, სამშობლოს ხომ არ უღალატა, რომ საქვეყნო აყიოტაჟი ატეხეს, სამაგიეროდ, ამით თავადვე გამოაცხვეს პოლიტიკური ფიგურა. სალომე ზურაბიშვილის გარშემო იპოდრომზე ათი ათასამდე ადამიანი შეიკრიბა ისე, სასხვათაშორისო მოწოდებაზე. წარმოიდგინეთ, კარგად რომ ეთქვა, ორჯერ მეტი ხალხი მივიდოდა. ისინი უკვე მისი პოლიტიკური გუნდის წევრები არიან, რომლებიც თავიანთი ლიდერისგან მომდევნო ნაბიჯს ელოდებიან. ამას გათვალისწინება უნდოდა!

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**

## გამაგებინეთ!

# ამ პარლამენტარებს რაღა თანაშემწეები სჭირდებათ?

**ავი იყო თუ კარგი, წინა ხელისუფლება მიხვდა, რომ 235 დეპუტატი ამ პატარა საქართველოსთვის ნამეტანია და მათი 150-მდე შემცირება მოითხოვა. საამისოდ რეფერენდუმიც ჩატარდა ხალხმა ხმა მისცა ახალ იდეას, იფიქრა, დეპუტატთა რაოდენობაც შემცირდება და საბიუჯეტო ხარჯებიც დაიზოგებაო.**

ისე, 85 დეპუტატის მოკლება პატარა საქმე არ გახლავთ. ჯერ ერთი, მათ სჭირდებათ სამუშაო ოთახები, მერე იქმნება კომიტეტები, მათი აპარატები. ბოლოს ისე გაიზარდა ეს რგოლები, რომ ერთხანს თვით პარლამენტის შენობაც აღარ ეყოთ და იქვე, მეზობელ კორპუსებში გადაინაცვლეს დაცვის მუშაკებმაც კი.

ახლა თანხები აიღეთ! თითოეული დეპუტატი თვეში დაახლოებით 1000 ლარს მაინც „ჭამს“ (ზოგი — 2 000-საც) და თუნდაც 85 000-ის დაზოგვა და ამ თანხის ჩვენს პენსიონერებზე ან დევნილებზე გადანაწილება ნამდვილად იქნებოდა გულმოწყალებაც და ქველმოქმედებაც. თუმცა, ვინ ფიქრობს პენსიონერებსა და დევნილებზე. ხომ გაგიგონიათ, — ჯერ თავო და თავოო...

ახლახან ოფიციალურად გახმიანდა, რომ მომავალი წლიდან ჩვენი დეპუტატები აპირებენ თანაშემწეების აყვანას და ამ კუთხით სპეციალური ინსტიტუტის შექმნას. 2006-ში საპარლამენტო ხარჯები 20-დან 26 მილიონამდე გაიზრდება და თუ ეს 6 მილიონი თანაშემწეებს არ ეყოფათ, ფინანსთა სამინისტრო ერთი ამდენს კიდევ დაამატებს. ულაპარაკოდ!

რა გამოდის, ბატონებო? ჩვენ ველოდებოდით საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას, დაზოგვას, თქვენ კი ითხოვთ მათს გადიდებას, ახალი ინსტიტუტის შექმნას? წლეულს 5-6 მილიონი ლარი არ გაიმეტეთ ქართველი მევენახეებისთვის (ისიც, — კრედიტად) და ახლა 10-12 მილიონს ითხოვთ თანაშემწეებისთვის (თანაც, — ხელფასად)? თქვენი აზრით, რომელი სფერო უფრო სასარგებლოა ქვეყნისთვის, — მევენახეობა თუ თანაშემწეობა?

კი, ეს თანაშემწეები ზოგ ქვეყანაში დეპუტატებს ჰყავთ, მაგალითად, რუსეთში. მაგრამ შეიძლება რუსეთისა და საქართველოს შედარება? ვიდრე მოსკოვიდან დეპუტატი ვლადივოსტოკში ან ნოვოსიბირსკში ჩავა რომელიმე საკითხის გასაკვევად, იმხელა მანძილია, ალბათ, კვირეები, თვეები დაიკარგება. ამიტომ შეიძლება მათ რეგიონებში თანაშემწეები იყოლიონ, მაგრამ ჩვენთან? რა თანაშემწე უნდათ მცხეთის, დუშეთის, გარდაბნის, მარნეულის ან საგარეჯოს დეპუტატებს? თბილისიდან ამ რაიონებამდე ხომ ერთი ნაბიჯია?

გარდა ამისა, იგივე რუსეთში ეს თანაშემწეები ისეთ სკანდალებში, ისეთ კორუფციულ გარიგებებში გაებნენ, რომ მთელი იმპერია აალაპარაკა, თანაშემწეთა ინსტიტუტი მიწასთან გაასწორა. ჩვენთან რა, ყველაფერი ყველი და პურივით წავა? ჩვენი თანაშემწეები პირს მავთულით გაიკერავენ თუ კუჭს ქვით ამოიყორავენ, რათა „ხაზეინი“ დეპუტატი არ შეარცხვინონ? იქნებ, პირიქითაც მოხდეს, — ეს თანაშემწე გახდეს შუამავალი ყოველ გარიგებაში, ყოველ მოლაპარაკებაში. ვინ იცის!

ამიტომ, ვიდრე ეს თანაშემწეთა ინსტიტუტი ჩამოყალიბდება, ვიდრე მათთვის საბიუჯეტო თანხები გამოიყოფა, იქნებ დავფიქრდეთ, იქნებ ორიოდ რაიონში პატარა გამოკითხვა მაინც მოვაწყოთ, — გვჭირდება კიდევ ახალი მუქთამჭამელების დამატება? ჩვენ დღეს საბიუჯეტო ორგანიზაციებს, — თვით პროკურატურას, პოლიციასა და უშიშროებასაც კი რაოდენობრივად, შტატობრივად ვამცირებთ, ამით მოსახლეობას საფრთხეში ვაგდებთ, აი, პარლამენტს კი, რომელსაც არც ფული აკლია და არც სიმშვიდე, ვამრავლებთ და ვამრავლებთ.

დაბოლოს: სულ ახლახან ორი ჩვენი დეპუტატი სკანდალში გაეხვა (არ ვგულისხმობ კობა ბექაურს). ერთს მანქანა გასტაცეს, მეორეს კი — ვითომ ტყვია დაახალეს. უბრალო ადამიანები კი არა, თვით დეპუტატებიც მხრებს იჩეჩდნენ, ამ პიროვნებებს ხეირიანად არ ვიცნობთო. და ამისთანა რამდენია! რა გვინდა, ასეთ ხალხს კიდევ დამატებითი პიროვნებები დავუნიშნოთ? ადგილებზე საქმეები კი არა, იქნებ



პარლამენტში მათ პულტებიც გადააბარონ ხოლმე ხმის მისაცემად. რაც არსად არ მომხდარა, ის ხომ ყოველთვის ჩვენთან ხდება!

**ბონდო გულიაშვილი**

## ინფორმაცია

### ევროკავშირი იწონებს

**ევროკავშირს** ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა მიზანშეუწონლად მიაჩნია. „ეს არსებული სატრანსპორტო კომუნიკაციის ყარსი-გიუმრის ამოქმედება ბევრად უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე ახლის მშენებლობა“, - განაცხადა სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანთან გამართული შეხვედრის შემდეგ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჰავიერ სოლანამ.

როგორც სააგენტო მედიამაქსი იუწყება, ევროკავშირი პრიორიტეტს თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნას და, შესაბამისად, ყარსი-გიუმრის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებას ანიჭებს.

### პარლამენტში — ცვლილებების გარეშე

**საპარლამენტო** უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის განცხადებით, ახალი ფრაქცია, რომლის პრეზენტაციაც საქართველოს პარლამენტში გუშინ გაიმართა, საპარლამენტო ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ შეიტანს. ეს მაია ნადირაძემ 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა. მისი განცხადებით, ახალ ფრაქციაში სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები გაერთიანდებიან. როგორც ნადირაძემ აღნიშნა, ახალი ფრაქციის შექმნის შემდეგ მისი წევრები სხვის პოლიტიკურ წარსულზე საუბარს, ალბათ, ვეღარ დაიწყებენ.

საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა და კონსერვატიული პარტიის ინიციატივით დაფუძნებული ახალი საპარლამენტო ფრაქციის პრეზენტაცია პარლამენტში გუშინ გაიმართა.

### მანამდე გაჩეჩილაძე სხდომაზე არ მივა

**ახალ** საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიულ ფრონტში“ გაწევრიანებული ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ახალი ფრაქციის შექმნის ძირითადი მიზანი ხელისუფლების მიერ წარმოებული არასწორი პოლიტიკის შეცვლა იქნება. მან გუშინ ეს განცხადება გააკეთა. მისი თქმით, არასწორი პოლიტიკის შედეგია ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში შიშის სინდრომი ჩამოყალიბდა, რადგანაც სასამართლოს მხრიდან მიმდინარეობს კანონის უგულებელყოფა, ხორციელდება მედიის შეზღუდვა და ძალადობა, რამაც საზოგადოებაში შიშის სინდრომის დამკვიდრება განაპირობა.

“თუ საზოგადოება თავისუფალი ვერ იქნება შიშისაგან, მაშინ წარმოუდგენელი ხდება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც დემოკრატიის ხარისხს პირდაპირპროპორციულად განაპირობებს“, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

მისი განცხადებით, პარლამენტის სესიებს იგი მხოლოდ მაშინ დაესწრება, როდესაც იქ განიხილება უმნიშვნელოვანესი საკითხები. „ცინიზმი და უგერგილო ქილიკი უზრდელობის თემაა და პარლამენტიდან ქუჩაში უნდა გავიდეს“, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## მესამე სექტორი

# კაცი, რომელმაც ქართველების გული 30 მილიონითაც ვერ მოიგო

**ვინ არის კაცი, რომელიც საქართველოს მილიონებს უანგაროდ ახარჯავს, რატომ იყო აუცილებელი თეთრ ტაძარში რეფორმების განხორციელება და მუდმივი პრობლემა კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ჩვენს შვილებს გადავულოცოთ? ეს არის საკითხები, რომელზეც ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ დირექტორს, პოლიტოლოგ დავით დარჩიაშვილს გავესაუბრეთ.**



***— ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას, კერძოდ, საუნივერსიტეტო სიახლეებს?***

— საუნივერსიტეტო რეფორმის განხორციელება აუცილებელი იყო, მართალია არის გარკვეული წინააღმდეგობები, მაგრამ არსი ამ რეფორმისა, ძალიან ჯანსაღია. თუ უმაღლესი და ზოგადი განათლების სისტემა არ შეიცვალა, არ გადახალისდა, მაშინ ლაპარაკი დემოკრატიაზე, ევროპასთან დაახლოებაზე, საბჭოთა ტრადიციების დავიწყებაზე — ფუჭია. ვერანაირი კონსტიტუცია ვერ უშველის ქვეყნის ცხოვრებას, თუ განათლების სისტემაში არ არის თანამედვი პროცესები. ქართული საგანმანათლებლო სისტემა ძალიან მოძველებულია. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ტექსტების დაზეპირება უფრო პრიორიტეტული იყო ჩვენთვის, ვიდრე აზროვნება და კრიტიკული მიდგომა. თუმცა ეს არსებითია, თუ ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას, რომელსაც კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები სჭირდება და არა ათასობით ლექსის, მოთხრობის, ან წესის და ფორმულის ზეპირად მცოდნე. სტუდენტის მომზადება გულისხმობს მის ყოველკვირეულ (თუ ყოველდღიურს არა) მუშაობას და კვლევებში ჩართვას პირველივე წლიდან. დაუშვებელია ერთი სახელმძღვანელოს უცბად გაზუთხვა და წლის ბოლოს გამოცდის ჩაბარება. გამეფებული კორუფციის ფონზე აზრი აღარ ჰქონდა სტუდენტის მუშაობას. სწავლებისადმი მიდგომა უნდა იყოს ისეთი, როგორსაც ბოლონიის პროცესის სახელით იცნობენ და რომელიც მთელ მსოფლიოშია დანერგილი.



**— თუმცა ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს გაუჭირდათ მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდთან შეგუება...**

— ძალიან გაუჭირდათ, ეს არ არის ასაკობრივი საკითხი. ძალიან ბევრი ხნიერი პროფესორი ვიცი, რომელიც თანამედროვედ აზროვნებს და არაერთი ახალგაზრდა, რომელსაც ძალიან ზედაპირული წარმოდგენა აქვს ყველაფერზე. მოგეხსენებათ, შეიქმნა ახალი სისტემა სრული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების, ასოცირებული პროფესორების და, ბუნებრივია, უნდა გამოცხადებულიყო ფაკულტეტების ხელახალი დაკომპლექტება. შერჩევის დროს შეცდომა არ არის გამორიცხული, მაგრამ თუ ვინმე თვლის, რომ უსამართლოდ დაიჩაგრა, ჰქონდათ აპელირების საშუალება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ან სასამართლოში. ანუ, პროცესი უხარვეზო არ ყოფილა, მაგრამ ეს პროცესი არის გადარჩენის საშუალება იმ დაწესებულებისა, რომელსაც, ტრადიციულად, თეთრ ტაძარს ვუწოდებთ. საჭიროა გარკვეული ძალისხმევა, რათა გამოთქმის „უპატრონო ტაძარს ეშმაკები დაეპატრონენო“, მსგავსი რამ არ მოხდეს.

***— ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით კონკრეტულად განათლების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას?***

— იგივე შემიძლია ვთქვა მეცნიერებათა აკადემიაზეც. აქაც არის ხისტი, ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ხელს უშლის საქართველოში მეცნიერების ნორმალურ განვითარებას. თუ ვინმე ნიჭიერია, იშვიათად, რომ მან თავისი გზა დაკარგოს. 1990-იანი წლებიდან ერთი გაკეთდა — გაიხსნა საზღვრები და ისინი თავის ადგილს მთელს მსოფლიოში პოულობენ. მათ საქართველოში მუშაობის საშუალება რომ ჰქონდეთ, აუცილებელია ამ სისტემის გარდაქმნა. ეს არ არის ბრძოლა მეცნიერებასთან, ეს არის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დროს დაარსებულ მეცნიერებათა აკადემიასთან.

**— ხშირად ბატონ კახა ლომაიას სოროსის სურვილების შემსრულებლად მოიაზრებენ. საერთოდ, სოროსის და მისი ფონდის მიმართ საზოგადოების ნაწილს უარყოფითი წარმოდგენა აქვს. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს განპირობებული?**

— ამ კაცს საქართველოსთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია. მას თავისი აზრი სხვისთვის არასოდეს მოუხვევია. 1994 წლიდან, როდესაც ეს ადამიანი დაინტერესდა საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენით, მაშინვე ჰკითხა სახელმწიფოს, საზოგადოების წარმომადგენლებს, თუ რა სჭირდება საქართველოს, ჰუმანიტარული დახმარება თუ პროექტების ხელშეწყობა? ქართველებმა დახმარების მეორე ვარიანტი აირჩიეს. ფონდის ჩამოყალიბების პერიოდში ორი წელი დირექტორი ამერიკელი იყო, მას შემდეგ აქ არის მთლიანად ქართული შემადგენლობა. ყოველწლიურად, როდესაც შემდგომი წლის სტრატეგიას ვადგენთ, მას განიხილავენ ღია საზოგადოების ინსტიტუტში მათი პროგრამების სპეციალისტები და თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებენ. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მობრძანდნენ და ავუხსნით ფონდის მუშაობის პრინციპებს და შედეგებს.

***— და მაინც ვინ არის საქართველოსთვის ჯორჯ სოროსი?***

— ადამიანი, რომელმაც ათი წლის განმავლობაში 30 მილიონი მოახმარა შემდეგ პროგრამებს: საზოგადოებრივი ჯანდაცვა საქართველოში, ნარკომანიის პრობლემებზე მუშაობა, შიდსის პრევენცია, ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა, ხელშეწყობა, სამართლებრივი სისტემის რეფორმა, საქართველოს კომპიუტერიზაცია, განათლების კონცეფცია, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იწერებოდა და ამ პროგრამაში მონაწილეობდა ბევრი ის პროფესორი, რომელიც დღეს სოროსს აგინებს, სიები შეგვიძლია წარმოვადგინოთ თუ რამდენ მათგანს აქვს ფონდიდან გრანტი მიღებული.

***— თუმცა საქართველოში ეჭვობენ, რომ სოროსი უანგაროდ გვეხმარება?***

— ამ კაცმა მართლა ბევრი ფული იშოვა ფინანსურ ბირჟებზე ქცევის წესების კარგად ცოდნით და ლოგიკით, გრძნობდა ფინანსურ ბაზარს. ჩვენი უძრავი ქონება ან ფინანსური ბაზარი მას ნაკლებად აინტერესებს, მას მართლა უნდა, რომ დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას.

***— ბატონო დავით, დღეს ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მწვავედ დგას კონფლიქტების მოგვარების საკითხი, როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?***

— როგორც ადრე, დღესაც არ არის გადაწყვეტილი ერთი მთავარი საკითხი, თუ რა სტრატეგია უნდა ავირჩიოთ. გვაქვს პოტენციალი და შესაძლებელია მშვიდობიანი გზით ამ პრობლემის გადაჭრა თუ არა. რა მეთოდებით, რა ფორმებით უნდა მოხდეს ეს ყველაფერი. ერთია რაღაც სტატუსი შესთავაზო და მეორე ქვეყნის მშენებლობაზე იმუშაო. რომც გამოვრიცხოთ რუსეთის მონაწილეობა და მისი საკმაოდ ნეგატიური როლი ამ პროცესებში, მაინც აუცილებელია ნდობის მშენებლობა. მეტი ძალისხმევაა საჭირო ურთიერთობის პრინციპებზე, დიალოგზე.

მესმის, რომ ხელისუფლებას უჭირს მოცდა, დრო არსებითია პოლიტიკოსისთვის, მაგრამ სიჩქარეს შეიძლება უფრო სერიოზული გართულებები მოჰყვეს და ამის მაგალითებიც არის. ბევრს ეგონა, რომ 2004 წლის ზაფხულში ცხინვალის კონფლიქტი აჭარის მსგავსად უცბად მოგვარდებოდა, მაგრამ...

**— პრეზიდენტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ამას გვპირდებოდა!**

— კი ამბობდა, მაგრამ, ამავე დროს, ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მიხვდა, რომ დროზე გაჩერება იყო საჭირო, კონფლიქტის დაწყება ადვილია, მოგვარება რთული. ამაზე საჭიროა მუდმივი დიალოგი საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ამ ჯგუფების დახმარებით დაილოგი მეორე მხარესთან. თუ ამაში პატარა პროგრესს მივაღწევთ, მხოლოდ ამის მერე შეიძლება, რომ ამერიკელები და ევროპელები უფრო გააქტიურდნენ რუსეთის ნეგატიური გავლენის განეიტრალების საქმეში. დღესდღეობით, როდესაც ამერიკის და რუსეთის მაღალი რანგის პოლიტიკოსები ერთმანეთს ხვდებიან ხოლმე, ამერიკული მხარე ყოველთვის საუბრობს საქართველოს კონფლიქტურ ზონებზე, რუსეთი კი უპასუხებს, რომ ქართველებს არ აქვთ ჩამოყალიბებული მიდგომა ეროვნული უმცირესობებისადმი. შესაძლოა ამან გამოიწვიოს ვითარების კიდევ უფრო გართულება და ა. შ. აი ასეთი არგუმენტები უნდა გამოვაცალოთ რუსეთს, რის შემდეგაც ამერიკას უფრო მეტი ექნება საპასუხო.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**

## გვწერენ

# ასეთი ხელმძღვანელებისგან უნდა გავთავისუფლდეთ



**პატივცემულო რედაქცია, გადავწყვიტე თქვენ მოგმართოთ, რადგან წლეულს 19 ივლისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროდან გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში გადაგზავნილ ჩემს განცხადებაზე დღემდე პასუხი არ მიმიღია.** იმ განცხადებაში ვწერდი ასპინძის სერვისცენტრის არაკანონიერ საქმიანობაზე, იმაზე, რომ დახარჯულ ელექტროენერგიას თანაბრად უნაწილებდნენ ე.წ. კომუნალურ მრიცხველზე ჩართულ 200-მდე აბონენტს. თუ ასეთი გადახდის წესი უნდა ყოფილიყო, გამოდის, რომ ტყუილად დახარჯეს 6 მილიონი ლარი მათ დაყენებაზე. სჯობდა რაიონში შემომავალ ელექტროხაზზე ჩართული მრიცხველის ჩვენება გაეყოთ ოჯახების რაოდენობაზე და გადავიხდიდით. ასეთივე განცხადებით მივმართე სამცხე-ჯავახეთის ფილიალის დირექტორსაც, მაგრამ ყველამ თევზივით წყალი პირში ჩაიგუბა და ჩემს კითხვებს პასუხი არ გასცეს. სადისტრიბუციო სამსახურის ასპინძის სერვისცენტრი კი კვლავ განაგრძობს დახარჯული ელექტროენერგიის გადახდის ამ „დრაკონულ“ წესს. ამიტომ იძულებული გავხდი, მომეწერა თქვენთვის. იქნებ ინებონ და პასუხი ახლა მაინც გაგვცენ შემდეგ კითხვებზე.

რა სამართლებრივი აქტის საფუძველზე ცნეს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ასპინძის სერვისცენტრის ხელმძღვანელებმა რაიონის 3000-ზე მეტი ოჯახი (უმრავლესობის მრიცხველები სერვისცენტრს ოჯახებიდან გარეთ, ბოძებზე აქვს გამოტანილი) დაზიანებულ ან უაღმრიცხველო აბონენტებად, რომ ახორციელებენ სემეკ-ის 2005 წლის 6 აპრილის № 7 დადგენილებას (იმასაც დამახინჯებით, დადგენილების ყველა მოთხოვნის უგულებელყოფით)? ცნობისათვის: რაიონში არსებულ სავაჭრო ჯიხურებში დგას ისეთივე მრიცხველები, როგორც ჩვენს ოჯახებში. სერვისცენტრი ამ მრიცხველებს ცნობს, ჩვენსას კი არა. რატომ?

ვინ უნდა გამოიტანოს ოჯახებიდან (ბინებიდან) მრიცხველები გარეთ და რა ღირს მათი გამოტანა? ვინ უნდა მოგვიხსნას მრიცხველები, რომ წავიღოთ სახელმწიფო სტანდარტში ლუქის დასადებად, ხოლო შემდეგ ვინ დააყენებს ან ვის ხარჯზე?

რამდენად კანონიერად იქცევიან სერვისცენტრის ხელმძღვანელები, როცა მოსახლეობა აგროვებს 3-6 ლარს, ყიდულობს სამფაზიან მრიცხველებს, კაბელს, დენის ტრანსფორმატორებს, ხოლო სერვისცენტრის ხელმძღვანელები ამას ამონტაჟებენ ტრანსფორმატორებში როგორც კომუნალურ მრიცხველს 40-60 ოჯახზე? ხედავთ თუ არა ამაში კრიმინალს? თუ ხედავთ რატომ არ რეაგირებთ ამაზე არც თქვენ და არც სამცხე-ჯავახეთის ფილიალი?

რამდენად სწორია, როცა მოსახლეობა უცხო პირებს (ძირითადად სერვისცენტრის ყოფილ თანამშრომლებს) ოჯახებიდან თვითნებურად ატანინებს მრიცხველებს თქვენს ბალანსზე რიცხულ ბოძებზე? ვის აქვს უფლება, უნებართვოდ იმოძრაოს ელექტრობოძებზე? რატომ არ იღებენ ხმას ამაზე სერვისცენტრის მენეჯერები? ხომ არ არის მათ შორის საიდუმლო გარიგება დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით?

რა ზომები მიიღეთ 2005 წლის 6 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილზე „ისე არ წვიმს, როგორც ქუხს“, რომელსაც სერვისცენტრის მენეჯერები არ ცნობენ?

ჩვენი აზრით, დასახელებულ სისტემაში, მათ შორის ასპინძის სერვისცენტრში, ხელმძღვანელებად მოკალათებული არიან ის ადამიანები, რომლებსაც უნდათ, რომ მომავალი არჩევნებისას მოსახლეობა იყოს ქვეყნის მთავრობის, პარლამენტისა და პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ განწყობილი, ან არ შესწევთ უნარი კომუნალური მრიცხველებით ანგარიშსწორება აწარმოონ სემეკ-ის მიერ დადგენილი წესით. ასეთი ხელმძღვანელებისგან რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავთავისუფლდეთ.

**ალიკო ხითარიშვილი,**
**დაბა ასპინძა, დედა ენის ქ. № 18.**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 247, სამშაბათი, 25 ოქტომბერი, 2005 წელი.

ყოფა

# „სახელმწიფომ მათხოვრებად გვაქცია“

## ამბობს ანაბარდაკარგული პენსიონერი, რომელიც გაჭირვებამ რედაქციაში მოიყვანა

პროფესიით ისტორ მაქვს, ყოველდღიურად უამრავ ადამიანს ვხვდები, რომელთაგან უმეტესობა უკიდურესად გაჭირვებულია, როგორც ეკონომისტები ამბობენ, სიღატაკის ზღვარზე. ერთ ასეთ პიროვნებას რედაქციაში გუშინაც შევხვდი — გურამ მარაშიძეს — ღვაწლმოსილ ჟურნალისტს, საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს. გავესაუბრე. შეწუხებული სახით და მშიერი თვალებით გამოიყურებოდა.

— როგორ ვიფიქრებდი, — მეუბნება, — რომ ამდენი გარჯისა და ოფლის ღვრის შემდეგ, რაც ჩემი ცხოვრების მანძილზე ქვეყნისა და ოჯახის კეთილდღეობისთვის გავწიე, მოხუცებულობაში უსახლ, მშიერ-მწყურვალი დავრჩებოდი. მით უფრო, ჩემი კოლეგებიც... ოჯახშიც 40 ათასი მანეთი მოსალოდნელი ავი დღისთვის მოგროვილი „შემნახველ სალაროში“ მქონდა გადანახულ-




ლი. იმ დროისათვის, მოგახსენებთ, ეს კაი 40 ათასი დოლარის ეკვივალენტი იყო, მაგრამ, რად გინდა, ჩვენი „ეკონომიკის მამების“ წყალობით მთლიანად ხელცარიელი დავრჩი. ახლა შევყურებ 28-ლარიან პენსიას, რომელიც ოჯახში პურის ფულადაც არ გვყოფნის. მარტო მე არა ვარ ამ დღეში, ჩემს ტაფაში ასიათასობით ადამიანი იხრაკება, რომლებიც სახელმწიფომ, არც მეტი არც ნაკლები, მათხოვრებად გვაქცია.

თანამოსაუბრე ვერაფრით ვანუგეშე. ანაზდად გამახსენდა 1991 წლის ბოლოსა და 1992 წლის დასაწყისში თბილისში დატრიალებული ტრაგედია, მაშინ სახელმწიფო ხაზინა, რომელშიც მთლიანად რუსული ფული იყო, პირწმინდად გაიძარცვა.

მომდევნო პერიოდში უსახსროდ დარჩენილმა ხელისუფლებამ მოსახლეობის ხელთ შემორჩენილი რუსული ფულის სასწრაფო ექსპროპრიაცია გამოაცხადა (ანაბრების გაორკეცების მოტივით), რამაც „შემნახველ სალაროებთან“ შეშფოთებულ მოქალაქეთა რიგები გაწელა. ანაბრები, ფულის გამოცხადებისთანავე, დიახაც გაორკეცდა (ეს მხოლოდ სავარაუდო უწყისებში), მაგრამ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში „დემოკრატ მმართველთა“ უგერგილობით ის „გაიფიფა“, რომ მანაბრეების კუთვნილი თანხები ვეღარ მიუსწრეს.

ეს „გაითვალისწინა“ ხელისუფლებამ და ქვეყნის ხელმძღვანელმა 1997 წლის 8 დეკემბრის №716 ბრძანებულებით გამოცხადდა „მოსახლეობის ანაბრების რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაცია“. მაგრამ არ იცით, როგორი ინდექსაცია? „მანაბრე 1992 წლის 1 იანვრამდე შემნახველ ბანკში შეტანილი თანხის პირველ 1000 მანეთზე 100 ლარს მიიღებს, ხოლო დანარჩენ ყოველ 1000 მანეთზე 10 ლარი დაემატება“; „1993 წლის 1 იანვრამდე შეტანილი თანხის პირველ 1000 მანეთზე 10 ლარი გაიცემა, ხოლო დანარჩენზე — 2-2 ლარი“; „1993 წლის 3 აგვისტოსთვის პირველ 1000 მანეთის ნაცვლად მეანაბრეებს 2 ლარს მიიღებენ, დანარჩენი თანხის ყოველ 1000 მანეთზე — 1 ლარს“.

ყოველივე ამასთან გამახსენდა იმ პერიოდში რედაქციაში გამოგზავნილი ქალბატონ ჯულიეტა ხუჯაძის წერილი, რომელიც გვწერდა:

**„ახალგაზრდობაში დაქვრივებულმა გაჭირვებით გავზარდე და გზაზე დავაყენე უმამოდ დარჩენილი ქალ-ვაჟი. წლების მანძილზე, ჯერ ხელფასიდან და შემდეგ პენსიიდან დანაზოგი სახსრები პერიოდულად შემქონდა შემსალაროში, მახარებდა პერსპექტივა, რომ სიბერეში შვილებს მძიმე ტვირთად არ დავაწვებოდი... მაგრამ გაზეთებიდან მეტად სამწუხარო ამბავი შევიტყვე: თურმე ჩვენი მამა-მარჩენალი, ფინანსთა მინისტრი მ. ჭკუასელი გვიპირებს ანაბრების პირველ 1000 მანეთამდე გადმოგვიგდოს მხოლოდ 100 ლარი, ყოველ დანარჩენ 1000 ლარზე კი 10-10 ლარი. და ეს მაშინ, როცა დანაზოგის შემსალაროში შეტანის მომენტში ერთი მანეთი ერთ დოლარს უთანაბრდებოდა. ასე რომ, ერთი მანქანის საფასურიდან ერთ წყვილ ხვირინ ფეხსაცმელსაც ვეღარ ვუყიდი ჩემს დაგვიაკერებულ შვილიშვილებს, რადგან ის ფული, რაც ბინის ქურდებისგან გადავარჩინე, წამართვა ხელისუფლების ლაქია მინისტრმა, დღისით-მზისით, მზაკვრულად მოფიქრებული მექანიზმით“.**

არანაკლები ვაჟიუზმით იყო დაღდასმული ... წერილი: **„... კვლავ და კვლავ ვეკითხებით ვაიფინანსისტ-ვაიინდექსატორებს: რა დანაშაული მიგვიძღვის მეანაბრეებს, ასე რომ გაგვწირეს და გაგვძარცვეს? იქნებ იმაში მიგვიძღვის ბრალი, რომ ბრმად მივენდეთ ხელისუფლებას, მის საბანკო სტრუქტურებს და მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად დანაზოგი თანხები შევიტანეთ სახელმწიფო შემნახველ ბანკებში? პირადად მე შემსალაროში 30 ათასამდე მანეთი მქონდა შეტანილი 1992 წლის პირველი იანვრისთვის. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს თანხა ჯერ 40 პროცენტით გაგვიზარდეს, მერე გაგვიორკეცეს. ბოლოს კი ერთბაშად სანაგვეზე მოგვისროლეს და 75000 მანეთის მეათედიც მოგვთავაზეს?! ისიც, ვინ უწყის, რამდენი წლის მანძილზე გასანაღდებლად, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ჯგუფის ინვალიდებს ეხება, თანაც მათ, ვინც 1998 წლამდე დაინვალიდდა. ჩვენი ჯერი კი ალბათ მაშინ დადგება, როცა თანდათან დავინვალიდდებით ან შიმშილისგან სული ამოგვხდება...“**

ამჯერად მე მხოლოდ ორი წერილის ამონარიდი მოვიტანე. არადა, ასეთი წერილებისგან რედაქციაში ტომეულები შეიკვრება. ისიც ფაქტია, რომ ხალხის ეს ტკივილი არასოდეს მოგვიფარებია, ამ თემაზე გაზეთში უამრავი სტატია და წერილი დაისტამბა, მაგრამ იმან, ვინც ისინი უნდა წაიკითხოს და გულთან მიიტანოს (მთავრობა) თავი შორს დაიჭირა, არც რაიმე ზომები მიიღო და არც პასუხის გაცემა იკადრა. ეს ეხება ორივეს, როგორც ძველ, ისე ახალ ხელისუფლებას.

მე თუ მკითხავთ, ამან დიდად დასცა ხელისუფლების პრესტიჟი და მოსახლეობასთან ერთად სახელმწიფოც აზარალა, რაც გამოიხატა ქვეყნის საფინანსო-საბანკო სტრუქტურებისადმი უნდობლობაში. დღეს ბანკისკენ ვერავის გაახედებ, ვერც რიგით მოქალაქეს, ვერც ბიზნესმენს და ვერც უშრომელი, უნამუსო შემოსავლებით ჯიბეგასქელებულ ჩინოვნიკს. მილიონობით ლარი და დოლარი ტრიალებს ჩრდილოვანი ეკონომიკის ... სამრეწველო..., ბიზნესზე, სოკოსავით მომრავლებულ სუპერმარკეტებსა და რესტორან-სამიკიტნოებში, მაგრამ ამონაგები ფული ბანკებში შენახვისგან ყველა თავს იკავებს იმის შიშით, ვაითუ ფინანსურ ოლიგარქიას ისევ მოეპრიანოს და ჩვენს ანაბრებს ბინძური ხელი დაადოს. ერთი სიტყვით, ხელისუფლებამ თავად მოჭრა ტოტი, რომელზეც იჯდა.

**— თქვენ როგორ ვარიანტს შესთავაზებდით?** — ვკითხეთ ბატონ გურამ მარაშიძეს.

— მე, მაგალითად, დავკმაყოფილდებოდი ასლარიან ვარიანტს, ანუ 100 ლარის დანაღდებას ყოველ 1000 რუსულ მანეთზე. მეანაბრეებმა ისიც ვიცით, რომ ერთბაშად ამდენი ფულის გამოშვება ინფლაციას გამოიწვევს, ამიტომ ამ თანხის განაღდების პერიოდი რამდენიმე წლით უნდა გაიწელოს. ...

რა თქმა უნდა, ყველაფერი ... მით უფრო ახლა, როცა ხელისუფლება თავს იწონებს, სახელმწიფო ბიუჯეტი ძველთან შედარებით თითქმის ხუთჯერ გავზარდეთო.

**სულაც არ მინდა ვიფიქრო, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ხალხის გასაჭირი არ აწუხებს, მაგრამ როცა ბიუჯეტში სამთავრობო სტრუქტურების თუ პარლამენტის ხარჯები წარამარა იზრდება, რა დააშავეს პენსიონერებმა, რომლებიც საარსებო მინიმუმის მეოთხედსაც ვერ იღებენ? კარგია, რომ გზებზე ასფალტი იგება, ახალი შადრევნები იხსნება, მაგრამ არა მგონია, ამან გაჭირვებულები დააპუროს. მათ ვერც ის ამშვიდებთ, რომ ამასწინანდელ არჩევნებში პრეზიდენტი ოპოზიციის დამარცხებამ შეაშფოთა. პრეზიდენტს, ალბათ, უფრო მეტად ოპოზიციის სისუსტე კი არა, ხალხის სოციალური ყოფა, მისი უკიდურესი გაჭირვება უნდა აშფოთებდეს.**

ოთარ ხუციშვილი

ვაჰ, სოფელო...

# ... მაგრამ ღმერთი არ გასწირავს...

## სიმდიდრესთან შორსა ვართ, სიღარიბესთან კი — ჩახუტებული

**იმ დღეს საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის საკონფერენციო დარბაზში უამრავი ჟურნალისტი მოიყარა თავი. როგორც ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ქალბატონმა ინგა პაიჭაძემ გვაცნობა, სულ მალე ჩაირთვებოდა ტელეხიდი და ვაშინგტონიდან კიევში ჩასული მსოფლიო ბანკის სიღარიბის და მაკროეკონომიკის განყოფილების თანამშრომელი ედმუნდო მურუგარა ქართველ ჟურნალისტებს მოუთხრობდა აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სიღარიბის დონისა და მისი დაძლევის საშუალებებზე.**

— მოდით დავიწყოთ იმით, — თქვა ბატონმა მურუგარამ, — **რომ ადამიანებს, რომლებიც დღეში 2 დოლარს ხარჯავენ, სრულიად ღატაკებად ითვლებიან, ხოლო ისინი, ვინც 4 დოლარს მოიხმარენ ყოველდღიურად, ეკონომიკურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან.**

ბატონმა ედმუნდო მურუგარამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ 1998 წლიდან, ფაქტობრივად, აღმოსავლეთ ევროპასა და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში სიღარიბემ ღრმად გაიდგა ფესვები. ეს ეხება როგორც რუსეთსა და უკრაინას, ისე ყაზახეთს, სომხეთსა და საქართველოს, სადაც მწვავე ეკონომიკური კრიზისი აღინიშნებოდა. 1998-2003 წლებში მდგომარეობა შედარებით სასიკეთოდ შეიცვალა და აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სიღარიბეს თავი დააღწია დაახლოებით ორმოცმა მილიონმა ადამიანმა.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, 2003 წლისათვის აღნიშნულ რეგიონებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 61 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, რაც მოსახლეობის 12 პროცენტს უდრის, 1998 წელს ეს მაჩვენებელი 20 პროცენტი იყო. თუმცა ამ რეგიონში 153 მილიონი ადამიანია, რომლებიც დღეში 4 აშშ დოლარს ან კიდევ უფრო ნაკლებს ხარჯავენ და ისინი ეკონომიკურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან.

**ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად აუცილებელია ხალხის დასაქმება, რაც მათ დაეხმარება ლუკმა-პურის შოვნაში. როგორც ითქვა, მიზანშეწონილია განხორციელდეს სამეწარმეო რეფორმა და სოფლის სწრაფი აღმავლობა.**

მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებით საქართველოსა და ტაჯიკეთში საშურია სოციალური ხარჯების გაზრდა და მომსახურების, ჯანდაცვისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

სიღარიბის დონე ყველაზე მაღალია ცენტრალური აზიის ქვეყნებში. 1998-2003 წლების მონაცემებით ტაჯიკეთში აბსოლუტური სიღარიბის დონე 70 პროცენტს აღწევდა. საქართველოში კი სიღარიბის დონემ 2003 წელს 50 პროცენტი შეადგინა.

**ითქვა, რომ რუსეთსა და ყაზახეთში შემოსავლები ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ გადანაწილდა, რის გამოც სიღარიბის დონე მოსალოდნელზე უფრო სწრაფი ტემპით შემცირდა. საქართველოსა და პოლონეთში შემოსავლების ასეთი გადანაწილება არ მომხდარა და ამ ქვეყნებში სიღარიბის დონე გაიზარდა.**

იზრდება უმუშევრობა, საკმარისი რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნა ძალიან ცოტა ქვეყანამ თუ მოახერხა. საქმე შედარებით უკეთესად არის ყაზახეთში, რუსეთსა და უკრაინაში. ევროკავშირში ახლადმიღებულ წევრ ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დასაქმების დონე 56 პროცენტია, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ევროკავშირის მიერ ლისაბონში დასახულ 70 პროცენტთან შედარებით.

უთანასწორობა სსრკ ყოფილ რიგ ქვეყნებში იზრდება, ხოლო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ეს მოდელი ნაკლებად გამოკვეთილია. ანგარიშში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გვაფრთხილებს, რომ **იქ, სადაც უმუშევრობა იზრდება, სიღარიბიდან თავის დაღწევას ნაკლებად მოახერხებენ.**

ისიც ითქვა, რომ **სანამ საქართველოში შემოსავლების განაწილება არ დაბალანსდება და უთანასწორობა არ აღმოიფხვრება, ქვეყანას არაფერი შეეცვლება.** პენსია, სულაც არ არის იმის ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომ შემოსავალი გადავანაწილოთ მოსახლეობაში. ყველაზე ეფექტიანია კერძო სექტორის ხელშეწყობა და ახალი საწარმოების ამოქმედება, რათა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები.


მავანნი ფულში იხრჩობიან, უმეტესობა კი...

ყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების ამოქმედება სულაც არ არის საკმარისი მდგომარეობის გამოსასწორებლად (თუმცა ასეთი საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია). ამიტომაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში დასაქმება არ გაზრდილა. ხელფასები კი გაიზარდა, თუმცა ეს ვერაფერი შეღავათია ხალხისა და ქვეყნისათვის.

ანგარიშის ავტორთა აზრით, ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად და სიღარიბის დასაძლევად ყველაზე ეფექტიანია სამეწარმეო სექტორის შემდგომი რეფორმა. ის ხელს შეუწყობს რესურსების გადადინებას ძველი, ნაკლებად პროდუქტიული საწარმოებიდან ახალი, უფრო თანამედროვე საწარმოში, ასევე სასოფლო რაიონებში სოფლის მეურნეობის განვითარება, აგრარული რაიონების ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკაში, კრედიტის ხელმისაწვდომობა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში.

პროგნოზი ასეთია: ამჟამად არსებული დონეების გათვალისწინებით აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში 2007 წელს ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა კვლავ 40 მილიონი იქნება, ხოლო 110 მილიონი — ეკონომიკურად დაუცველი. ასეთი მდგომარეობა დიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობის განვითარებას. ამიტომაც ამ ქვეყნების მთავრობების მიზანმიმართული მუშაობა ეფექტიანი უნდა გახდეს ეკონომიკის ზრდის დასაჩქარებლად, ოღონდ მიღწეული შედეგებით ყველამ უნდა ისარგებლოს.

**მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს საქართველოში რიო საუთვორტის სჯერა, რომ საქართველო თავს დააღწევს სიძნელეებს და მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩადგება. ჩემს შეკითხვაზე, თუ ეს რა პერიოდში მიიღწევა, ბატონმა ედმუნდო მურუგარამ ასე მიპასუხა: სანამ თქვენი ქვეყნის შემოსავლები მთელ მოსახლეობაზე არ გადანაწილდება და ახალი ტიპის საწარმოები არ შეიქმნება, სიღარიბე არ გაქრებაო.**

**ძნელია არ დაეთანხმო ამერიკელ სპეციალისტს.**

ლალი ქინქლაძე

ინფორმაცია

### იყიდის კი ვინმე „აგროსერვისს?“

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო „აგროსისტემების“ პრივატიზაციას 1 250 000 დოლარად გეგმავს. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების 100 პროცენტიანი წილის პრივატიზაციის მიზნით კონკურსი გამოცხადდა და განაცხადების მიღება 24 ოქტომბრიდან დაიწყო. სამინისტრო „აგროსისტემების“ პრივატიზაციას განახევრებულ ფასად ხელმეორედ ცდილობს. პირველად კონკურსი სექტემბერში გამოცხადდა, რომლის საწყისი ფასი 2,5 მილიონ დოლარს შეადგენდა, თუმცა შპს-ით მაშინ არავინ დაინტერესებულა.

“აგროსისტემები“ თბილისში, ირ. აბაშიძის ქუჩაზე მდებარეობს და პურპროდუქტების შესყიდვას, ექსპორტ-იმპორტს, რეალიზაციას ახორციელებს. აგრეთვე ასრულებს აგენტის ფუნქციებს. მისი საწესდებო კაპიტალი 562 720 ლარია.

ორგანიზაციას აქვს 1 708 384 ლარის დებიტორული და 22 664 ლარის კრედიტორული დავალიანება. „აგროსისტემების“ საწყისი გასაყიდი ფასი კი 1 250 000 მილიონი დოლარია. “აგროსისტემების“ აუქციონის წესით შეძენის მსურველებმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 22 ნოემბრამდე უნდა მიმართონ. ტენდერი კი 22 ნოემბერს 18.00 საათზე გაიმართება. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა იქნება.

### კოკოითი ეჭვობს...

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ოფიციალური თბილისის ინიციატივას, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად მოქმედ ფორმატში კორექტივების შეტანასა და მოლაპარაკებათა პროცესში აშშ-ის, ეუთოსა და ევროკავშირის მონაწილეობას ეხება, ცხინვალისათვის მიუღებლად მიიჩნევს.

კოკოითის განცხადებით, სამხრეთ ოსეთი შერეული საკონტროლო კომისიის მოქმედ ფორმატს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად ოპტიმალურად მიიჩნევს და მასში აშშ-სა და ეუთოს, ისევე როგორც უკრაინისა და ლიტვის მონაწილეობას სკეპტიკურად აფასებს. მისივე თქმით, ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია რა მიზნით სურს ქართულ მხარეს შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის შეცვლა და მოლაპარაკებათა პროცესში აშშ-ის, ეუთოსა და ევროკავშირის მონაწილეობა.

„ქართული მხარის ინიციატივები ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან აშშ და ეუთო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში ხშირად ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ. ორმაგი სტანდარტები კი კონფლიქტის მოგვარებას ჩიხში შეიყვანს“, — აღნიშნავს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. მისივე შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები საქართველოს უჭერენ მხარს და მას იარაღითაც ეხმარებიან, მათ, ისევე როგორც აშშ-ს, კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობისა და კონფლიქტის ზონაში ყოფნის მორალური უფლება არა აქვთ

### „მადნეულს“ პატრონი დღეს უნდა გამოუჩნდეს

სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ მფლობელის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დღეს სს „მადნეულის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის (97,25%) და შპს „ტრანს ჯორჯიან რესურსის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის (50%) გაყიდვის მიზნით კონკურსი გაიმართება და გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება.

სამინისტრომ „მადნეულზე“ და „ტრანს ჯორჯიან რესურსზე“ კონკურსი მიმდინარე წლის 21 სექტემბერს გამოაცხადა. დაინტერესებული კომპანიებისთვის განცხადებების მიღების ვადა დღეს საღამოს იწურება. კომპანიის საწყისი გასაყიდი ფასი 32 500 000 დოლარს შეადგენს.

სს „მადნეულის“ საწესდებო კაპიტალი 12 830 195 აშშ დოლარს შეადგენს. კომპანიის დებიტორული დავალიანება - 43 614 831 ლარი, კრედიტორული — 28 702 266 ლარია.

საკონკურსო პირობების მიხედვით, სს „მადნეულის“ მყიდველმა საქმიანობის პროფილი 3 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს, ასევე უნდა შეინარჩუნოს დასაქმებული მუშა-მოსამსახურეები და არ შეამციროს სახელფასო ფონდი.

მყიდველმა საპრივატიზებო თანხის 50 პროცენტი 2005 წლის 15 ნოემბრამდე უნდა დაფაროს, ხოლო დანარჩენი - 15 დეკემბრამდე.

ლიცენზიისა და წიაღით სარგებლობის საპროექტო მახასიათებლების დაცვის, მათი გაუმჯობესებისა და არსებული დარღვევების აღმოფხვრის, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაქსიმალურად თავიდან აცილების მიზნით, საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა უნდა უზრუნველყოს გარემოს დაცვისა და წიაღით სარგებლობის კანონმდებლობის, აგრეთვე აღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების მოთხოვნათა შესრულება.

### სამინისტროს მორიგი აუქციონი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ობიექტების პრივატიზების მიზნით მორიგი აუქციონი გამოაცხადა. აუქციონი გამოცხადდა სს „საქსურსათმანქანის“ 90%-ზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 850 000 აშშ. დოლარით განისაზღვრა. კომპანიის საქმიანობის სფერო კვების მრეწველობის, მანქანებისა და მოწყობილობების შექმნაა. საწესდებო კაპიტალი 134 712 ლარს შეადგენს. დებიტორული დავალიანება 31 435 ლარია, კრედიტორული კი 28 963 ლარი. ასევე აუქციონი გამოცხადდა მეცნიერებათა აკადემიის პოლიგონზე შპს „ლილო 91“, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 120 000 აშშ. დოლარია. კომპანიის საქმიანობის სფერო სამშენებლო მასალებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება, რეალიზაცია და გაცვლაა. საწესდებო კაპიტალი 104 000 ლარს შეადგენს. დებიტორული დავალიანება 43 424 ლარია, კრედიტორული 1 084 ლარი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება დღეიდან დაიწყება და 22 ნოემბრამდე გაგრძელდება. ტენდერი 22 ნოემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩატარდება.

ინტერპრესნიუსი

ქართული არქეოლოგიის პრობლემები

# ათორმეტო მოციქულო, შეეწიე...

## ნომრის სტუმარია არქეოლოგ-კავკასიოლოგი, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის სწავლული მდივანი გივი ღამბაშიძე

**— ბატონო გივი, რა ადგილი უჭირავს დღეს არქეოლოგიას ზოგადად ქართულ მეცნიერებაში?**

— ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თითოეული ქართველისთვის არქეოლოგია გარკვეული შარავანდედითაც არის მოსილი, ვინაიდან იგი უკავშირდება საქართველო-კავკასიაში უძველესი ადამიანის განსახლების, ქართველი ხალხის წარმოშობის, მრავალი ათასწლეულის მანძილზე ავტოქთონური მატერიალურ-სულიერი კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობის, რელიგიურ-კონფესიური, კავკასიურ-წინააზიურ — შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნების სივრცეში ისტორიულ ურთიერთობათა კვლევასა და სხვა უმნიშვნელოვანეს ისტორიულ პრობლემატიკას. საქართველოს არქეოლოგია, თუ შეიძლება ითქვას, ქართველი ერის ისტორიულ ფესვთა მცოდნეობაა, კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ამ მხრივ, ქართული არქეოლოგიის შედეგებს როგორც ეროვნული, ისე საკაცობრიო ღირებულება და, გარდა ზოგადი კულტუროლოგიურისა, უაღრესად თანამედროვე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟღერადობაც აქვს, განსაკუთრებით, გლობალიზაციის ურთულეს პერიოდში... შესაბამისად, ეროვნულობა-სახელმწიფოებრიობააღდგენილი ჩვენი საზოგადოებისათვის, მისი კულტურულ-ეროვნული შეუვალობის განმტკიცებისათვის, ქვეყნის წინსვლისათვის, მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში თანასწორუფლებიანად, ღირსეულად ჩართვისთვის, საქართველოს არქეოლოგიისადმი ყურადღება სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან გასაათკეცებელია, ისევე, როგორც ზოგადად ქართული ჰუმანიტარულ მეცნიერული დარგებისადმი...


ასტრახანის მიძინების ტაძარი.



**— მასმედიის საშუალებებით, ამას წინათ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ არქეოლოგიურ კომისიას, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ჩამოერთვა არქეოლოგიურ სამუშაოებზე ნებართვის გაცემის უფლება და იგი გადაეცა კულტურის სამინისტროს. როგორ აღმოჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კიდევ ერთხელ ხელოვნურად „თამაშგარე მდგომარეობაში“?**

— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური კომისია არსებობის მრავალათეულწლოვან ისტორიას ითვლის. მას თავის დროზე ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ირაკლი აბაშიძე, ვასილ ფრანგიშვილი, შოთა ძიძიგური, ანდრია აფაქიძე, 2005 წლიდან — გურამ თევზაძე...

საქართველოს არქეოლოგიური კომისია საქართველოში შესაბამისი პროფილით მომუშავე დაწესებულებების, ცნობილ ქართველ არქეოლოგთა და ძეგლთა დამცველთა წარმომადგენლობითი ორგანოა. ათეულობით წლების განმავლობაში მოქმედი კომისიის დებულებებითა და საქართველოს 1999 წლის კანონით „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, იგი „გეგმავს, კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას და სამინისტროსთან შეთანხმებით გასცემს ამგვარი სამუშაოების ჩატარების ნებართვას (ღია ფურცელს)“.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 2 სექტემბრის №155 დადგენილებით („ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე სამუშაოთა ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“) ამიერიდან ამ ნებართვას ერთპიროვნულად გასცემს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური კომისია არსებითად არ ჩაუყენებიათ საქმის კურსში, რითაც მოხდა არქეოლოგიური კომისიის,


მარიამ ღვთისმშობელი. XII-XIII ს.ს. ნუზალის სამლოცველო (ჩრ. ოსეთი)

როგორც საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის არქეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარი წარმმართველი და ზედამხედველობითი პროფესიული ორგანოს, უგულებელყოფა, რაც უდავოდ, უარყოფითად იმოქმედებს საქართველოში არქეოლოგიური სამსახურის არსებობა-მოღვაწეობასა და მის განვითარებაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა თამაზ გამყრელიძემ 2005 წლის 27 სექტემბერს სათანადო წერილებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, განათლებისა და მეცნიერების, ასევე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრებს. არქეოლოგიურმა კომისიამ და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გაითვალისწინეს ქვეყანაში ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის ახალი წესი (მიგვაჩნია: ეს ახალი კანონი არქეოლოგიურ სამეცნიერო კვლევა-ძიებას არ უნდა შეხებოდა!), ის, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი დამცველი და მომვლელ-პატრონი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროა და საქართველოს მთავრობაში 2005 წლის 30 სექტემბერს აღძრეს შუამდგომლობა ზემოთ ნახსენები დადგენილების მუხლი 5.2 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

იხ. მე-6 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილის შეღებილი ფასადები

**„ვარდების რევოლუციის“ მორიგ წლისთავს (23 ნოემბერი) საქართველო, ალბათ, შარშანდელივით დიდი ზარ-ზეიმით არ აღნიშნავს. თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ მთელს ქალაქში კვლავ ააგებენ სცენებს მომღერლებისა და მოცეკვავეებისთვის, გაიმართება პომპეზური სადღესასწაულო ღონისძიებები და ყოველივე ეს დასრულდება საზეიმო ფეიერვერკით. არც ის იწვევს ეჭვს, რომ ზეიმზე უამრავი ხალხი მოიყრის თავს. საკითხავია სულ სხვა რამ: რას ეტყვის ამჯერად პრეზიდენტი სააკაშვილი იმ ადამიანებს, რომლებმაც ორი წლის წინათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მის გაპრეზიდენტებაში?**

რა თქმა უნდა, ხელისუფლებას რაღაც-რაღაცეები მაინც აქვს საამაყო. მთავარი მიღწევაა აჭარაზე კონტროლის დაბრუნება, რომელიც თითქმის ჩამოშორდა დანარჩენ საქართველოს ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში, კორუფციისთვის მძიმე დარტყმის მიყენება, რის წყალობითაც გაიზარდა ბიუჯეტი, შესაძლებელი გახდა არა მარტო ხელფასებისა და პენსიების დროულად გადახდა, არამედ მათი გადიდებაც, არმიისა და ძალოვან სტრუქტურათა განმტკიცება, წესრიგის დამყარება საბაჟო, საგადასახადო სფეროებში, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სფეროებში განხორციელებული რეფორმები. მაგრამ ყოველივე ამაზე ხომ უკვე ილაპარაკეს შარშან, რევოლუციის წლისთავზე.

ახლა ობიექტური მდგომარეობა რამდენადმე სხვანაირია. ხელფასების მომატების მიუხედავად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო შეეჩერებინა ფასების ტოტალური ზრდა, რის გამოც, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცხოვრების დონე, უკეთეს შემთხვევაში, წინანდელი დარჩა. გაუარესდა უმუშევრობასთან დაკავშირებული ვითარებაც. უმუშევართა არმია, რომელიც მემკვიდრეობით ერგო ახალ ხელისუფლებას შევარდნაძის რეჟიმისგან, მან კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფო სექტორში მასობრივი შემცირებების შედეგად. თანაც, ამ სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ჯერჯერობით არანაირი პირი არ უჩანს. დასავლეთში განმტკიცებული იმიჯი კვლავ შეირყა, თუმცა, ჯერჯერობით ისევ იღებს საქართველო გრანტებს, რეგიონის დემოკრატიზაციისთვის ჯილდოს სახით. მნიშვნელოვნად შემცირდა სააკაშვილის პირველი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სამხრეთ ოსეთის, მეორე ვადის დასრულებამდე კი — აფხაზეთის პრობლემათა მოგვარების ალბათობა, როგორც ამას ჰპირდებოდა იგი ხალხს. უფრო მეტიც, სექტემბერში ცხინვალისთვის ცეცხლის დაშენის შემდეგ ვითარება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თვალსაზრისით, იმდენად გაუარესდა, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, საკმაოდ მკაცრი ფორმით მოუწოდა თბილისს, რომ მას „დაუყოვნებლივ ეჩვენებინა ტერიტორიული პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი სწრაფვა“. ამ სეპარატისტულ რეგიონებში რაიმე საგრძნობი პროგრესის უქონლობას დაემატა ისიც, რომ საკმაოდ საშიში ვითარება შეიქმნა მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში, სადაც მცხოვრები სომხები გამოთქვამენ მათთვის ავტონომიის მინიჭების იდეას და რაიონული პრაქტიკული მოქმედების მიუხედავად (სურსათის არმიისთვის სწორედ ამ რეგიონში ყიდულობდნენ, სამცხე-ჯავახეთს ასევე გამოეყო თითქმის 180 მილიონი დოლარი ბოლო 300-მილიონიანი ამერიკული გრანტიდან, რომელიც მოხმარდება გზების, კომუნიკაციების და სოციალური სფეროს გაუმჯობესებას), ძირეული სასიკეთო გარდატეხის მიღწევას მთავრობა მაინც ვერ ახერხებს.

თვით ისეთი ვიზუალურად აშკარა მიღწევასაც კი, როგორიც არის თბილისის კეთილმოწყობა, სააკაშვილის მოწინააღმდეგეები ეჭვქვეშ აყენებენ — ჯორჯ ბუშის ვიზიტისთვის სახელდახელოდ დაგებული ასფალტის საფარი ალაგ-ალაგ უკვე გაფუჭდა და გზები ხელახლაა წესრიგში მოსაყვანი, ქალაქის ცენტრში ნაირფერად შეღებილი შენობების უმრავლესობა კი კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია.

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის წამყვანი ექსპერტი, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას სწორედ ამ ნაირფერად შეღებილ შენობებს ადარებს: გარედან ლამაზია, მაგრამ მათში ცხოვრება კი დიდად მოხერხებული არ არის. „ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო აშკარად დეგრადირებს. სააკაშვილის დროს საქართველომ მიიღო ის, რის გამოც ასე სურდა შევარდნაძის წასვლა ისტორიაში. ახლა ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად მართვადი პარლამენტი, ფსევდოთავისუფალი პრესა, ილუზორული სამოქალაქო საზოგადოება. ის, რის გაკეთებასაც ცდილობდა შევარდნაძე თავისი მმართველობის ბოლო წლებში, განახორციელა მისმა ახალგაზრდა და ენერგიულმა მემკვიდრემ“, — თქვა ზაქარეიშვილმა.

მისი აზრით, ამჟამინდელ რეჟიმს არ გააჩნია სტრატეგია — ყველა მოქმედება ექვემდებარება ამ წუთიერი ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტას, რაც უახლოესი რამდენიმე წლის შემდეგ უმძიმეს შედეგებს მოიტანს. „ხელისუფლებას არა აქვს სისტემური მიდგომა ყველაზე სერიოზული პრობლემებისადმი, თვით ისეთი პრობლემისადმი, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზი და ოსი ხალხების გასაგონად სააკაშვილი ამბობს ერთს, დასავლეთს ეუბნება მეორეს, რუსეთს — მესამეს, ქვეყანაში თავისი გამოსვლების დროს კი ხშირად იყენებს ომისმოტრფიალე რიტორიკას“, — მიაჩნია პოლიტოლოგს. ზაქარეიშვილის აზრით, საკადრო პოლიტიკაში სულ უფრო ხშირად უმთავრესი ხდება პირადი ერთგულება და არა კადრის კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. „ამის კიდევ ერთი დადასტურებაა კამპანია საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. იგი იდეალური მინისტრი არ არის, მაგრამ პროფესიონალია. თუმცა, გაკეთდა ყველაფერი იმისთვის, რომ ზურაბიშვილი გადაეყენებინათ თანამდებობიდან, რადგან იგი არ შედის ეგრეთ წოდებულ „გუნდში“. ამასთან, ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, საქართველოს შეუქმნას თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს იმიჯი, სწორედ ისე, როგორც ფასადებს ულამაზებს ძველ, საძირკველმორყეულ სახლებს, ყოველივე ამის შედეგად ჩვენ ვიღებთ რაღაც დემოკრატიის იმიტაციას“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

**იური სიმონიანი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**24 ოქტომბერი.**

# მეცნიერთა მტკიცებით, ბუნებრივი კატაკლიზმები მალე გაანადგურებენ შეერთებულ შტატებს

**გრიგალი „ვილმა“ ამ სეზონში უკვე 21-ე გახდა, რითაც დაემხო 1933 წელს დაფიქსირებული აბსოლუტური რეკორდი — 20 ქარიშხალი. არადა, შტორმების სეზონი, რომელიც 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე გრძელდება, ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სამაგიეროდ, ამოიწურა იმ სახელების ნუსხა, რომლებსაც სინოპტიკოსები არქმევენ გრიგალებს და ტაიფუნებს. ატლანტის ოკეანე საშუალოდ ამერიკელებს 10-15 გრიგალს უგზავნიდა ხოლმე. ამ სეზონისთვის სინოპტიკოსებმა 21 სახელისგან შემდგარი სია მოიმარაგეს, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.**

ამავე დროს, ინდიანის შტატის უნივერსიტეტში პოლიტოლოგებმა კომპიუტერში შეიტანეს ამინდის მონაცემები 1961 წლიდან დაწყებული და შეძლეს პროგნოზის გამოთქმა შორეული მომავლისთვისაც კი. სამწუხაროდ, ეს პროგნოზი არადამაიმედებელია. მარტო მექსიკის ყურის სანაპიროს XXI საუკუნის დამლევისთვის თავს დაატყდება ერთიორად უფრო მეტი გრიგალი თუ ტაიფუნი, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. მოიმატებს საშუალო-წლიური ტემპერატურაც. მაგალითად, იუტას და არიზონის შტატებში ისე დაცხება, რომ ეს ტერიტორიები უკაცრიელ უდაბნოდ გადაიქცევა.

„ჩვენი კომპიუტერული მოდელის მეშვეობით მიღებული შედეგები იმდენად სერიოზულია, რომ მათ შეუძლიათ დაანგრიონ ქვეყნის ეკონომიკა და მთელი ინფრასტრუქტურა“, — ამტკიცებს მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი, დოცენტი ნოა დიფენბაუ.

ქარიშხალმა „ვილმამ“ კი, რომელმაც გასულ უქმე დღეებში მოიკრიბა ძალები, განაგრძო სვლა კუბისა და ფლორიდის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილისკენ. კუბის ხელისუფლებამ საშიში ადგილებიდან უკვე გახიზნა 600 ათასზე მეტი კაცი. კუნძულზე დაიტბორა სანაპირო რაიონების რამდენიმე სოფელი.

ევაკუაცია გამოაცხადა ფლორიდის შტატის ხელისუფლებამაც. შტატის იმ მცხოვრებლებს, რომლებსაც არ სურთ სანაპიროზე მდებარე ქალაქების დატოვება, მოუწოდებენ მიაშურონ სპეციალურად ორგანიზებულ თავშესაფრებს.

ჯერჯერობით კი, გრიგალის გზაზე აღმართულია ფლორიდა-კისის კუნძულების ჯაჭვი, რომლებიც წარმოქმნეს მარჯნის რიფებმა და მეჩეჩებმა.

მეტეოროლოგთა მტკიცებით, სანაპირო რაიონები შეიძლება დატბორონ 2,5-5 მეტრის სიმაღლის ტალღებმა. ეს კი ნიშნავს, რომ ამ პატარ-პატარა კუნძულების უმეტესი ნაწილი წყალქვეშ აღმოჩნდება.

ქარიშხლებზე დაკვირვების საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტთა ვარაუდით, კუნძულების სამხრეთი ჯაჭვიდან „ვილმა“ გეზს აიღებს ჩრდილო-დასავლეთისკენ, და მის გზაზე აღმოჩნდებიან ფლორიდის შტატის უდიდესი ქალაქები — მაიამი და ფორტ-ლოდერბეილი. ამის შემდეგ კი, „ვილმა“ სავარაუდოდ, გადაინაცვლებს შეერთებული შტატების ატლანტის სანაპიროდან აღმოსავლეთით.



# მოკლედ



**ნიგერიაში** ბოინგ-737 თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზი შეიძლება გახდა მაგნიტური ქარიშხალი. ამავე დროს, ადგილობრივი მცხოვრებლები, კატასტროფის თვითმხილველები ამბობენ, რომ თვითმფრინავი ჯერ კიდევ ჰაერში აფეთქდა, შემდეგ კი მისი ნამსხვრევები ჩამოვარდა მიწაზე, რის შედეგადაც წარმოიქმნა დაახლოებით 8 მეტრი სიღრმის რამდენიმე ორმო. თვითმფრინავის მგზავრთა გვამები იმდენად დამახინჯებულია, რომ სპეციალისტთა აზრით, ძალზე გაძნელდება მათი იდენტიფიცირება.

* * *

**ამერიკის** ქალაქ ახალ ორლეანში ძალზე პოპულარული გახდა ასეთი თემისადმი მიძღვნილი სვირინგები: „ქალაქი, რომელმაც გადაიტანა ქარიშხლის შემოტევა“. დიდი პოპულარობით სარგებლობს ზამბახის ფორმის ნახატები (ეს ყვავილი ახალი ორლეანის სიმბოლოა) ან, მაგალითად, წარწერა NOLA, როგორც ხშირად უწოდებენ ქალაქს.



* * *

**ერაყში** დააკავეს სადამ ჰუსეინის სამი ძმისწული, რომლებიც მის პირად მცველებად მუშაობდნენ. როგორც ერაყის გაზეთი „ას-საბაჰ ალ-ჯედიდი“ წერს, სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრითში დააკავეს ძმები მუჰამედ და თალფაჰ იბრაჰიმ ომარები და მასლად მუჰამედ იბრაჰიმი.

* * *

**ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აცხადებს, რომ არ აპირებს „იერიშის მიტანას“ თეთრ სახლზე და იმედი აქვს, რომ ამერიკელები დაიჯერებენ მის ნათქვამს. ამის მიუხედავად, მაინც რჩება რამდენიმე კითხვა და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონდოლიზა რაისი თავის დროზე ასეთ განცხადებებსაც აკეთებდა: ვეცდები გავხდე პირველი ქალი და პირველი შავკანიანი შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.



# სამშვიდობო ჯარების ოფიცერი ტერორისტად შერაცხეს

**გასულ შაბათ-კვირას რუსი დიპლომატების მთავარი საზრუნავი იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ოფიცრის რომან ბოიკოს გათავისუფლება. ოფიცერი 23 ოქტომბერს გაათავისუფლეს და გადასცეს საელჩოს წარმომადგენლებს. დიპლომატთა თქმით, იმავე საღამოს, იგი უკვე უნდა ჩასულიყო ცხინვალში და გაეგრძელებინა სამსახური.**

პოდპოლკოვნიკი რომან ბოიკო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პარასკევს დააკავეს ქალაქ გორში. როგორც ჩვენთან საუბრისას განაცხადა კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა სერგეი იანცევიჩმა, „გორში პოდპოლკოვნიკი ბოიკო სასამსახურო საქმეებზე იყო ჩასული“. მან, აგრეთვე, განმარტა, რომ მართალია, „მშვიდობისმყოფელთა შტაბი მდებარეობს ცხინვალში, მაგრამ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის მიზნით, რუსი სამშვიდობოები ზოგჯერ გადიან კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, თბილისშიც ჩადიან“. იანცევიჩის თქმით, „ბოიკოს წესრიგი არ დაურღვევია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მაინც საჭიროდ მიიჩნია მისი დაპატიმრება“.

საქართველოში რუსეთის საელჩოს სამდივნოში კი დამატებით განგვიმარტეს, რომ ბოიკო გორში ჩავიდა რუსი მშვიდობისმყოფლების კუთვნილი ტვირთის დოკუმენტების გასაფორმებლად. ამასთან, საელჩოში აღნიშნეს, რომ ქართული მხარე რეგულარულად აჩერებს ცხინვალში გაგზავნილ ტვირთებს, მათ შორის, კვების პროდუქტებსაც და ბოიკოც სწორედ იმიტომ ჩავიდა გორში, რომ გაერკვია ტვირთის მორიგ ასეთ შეფერხებასთან დაკავშირებული სიტუაცია.

თავის მხრივ, თბილისში კონკრეტულად არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რატომ დააპატიმრეს რუსი მშვიდობისმყოფელი ოფიცერი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ მხოლოდ ის თქვა, რომ ბრალდების წაყენებამდე მას არა აქვს უფლება რაიმე განცხადება გააკეთოს ამ საკითხის შესახებ. არაოფიციალური ინფორმაციით კი, ბოიკო დააკავეს, როგორც ქალაქ გორში მიმდინარე წლის თებერვალში განხორციელებული ტერაქტის შესახებ აღძრული საქმის მოწმე, როცა ავტომანქანის აფეთქების შედეგად დაიღუპა ადგილობრივი პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რისი გაგება სურთ დაკავებული რუსი ოფიცრისგან ქართველ გამომძიებლებს. ამავე დროს, როგორც შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა იანცევიჩმა აღნიშნა, „ბოიკოს დაკავების დროს, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა იგი დაადანაშაულეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის დარღვევაში — ტერორისტული აქტის მომზადება“.



ასეთ ვითარებაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ოპერატიულობა გამოიჩინა. პოდპოლკოვნიკ ბოიკოს დაპატიმრებას მოსკოვში „დაგეგმილი პროვოკაცია“ უწოდეს. შაბათს კი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ტელეფონით დაუკავშირდა თავის ქართველ კოლეგას გელა ბეჟუაშვილს და მოითხოვა შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო მეთვალყურის დაუყოვნებელი გათავისუფლება. ამის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც ხაზგასმული იყო: ბეჟუაშვილი დათანხმდა იმ მოსაზრებას, რომ სიტუაცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს.

ამავე დროს, შეუძლებელია, გაკვირვება არ გამოიწვიოს იმან, თუ რა სრული ინერტულობით მოეკიდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო თავისი ოფიცრის ბედს. იქ ორი დღის განმავლობაში ოფიციალური პოზიციის ჩამოყალიბებაც კი ვერ მოახერხეს. ყოველ შემთხვევაში, 23 ოქტომბერს, დღისით თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის მორიგემ ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ საქართველოში პოდპოლკოვნიკ ბოიკოს დაკავების შესახებ, არანაირი მონაცემები არ გააჩნდათ.

**ვლადიმერ ივანოვი,**
**იგორ პლუგატარიოვი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**24 ოქტომბერი.**

# ბრაზილიელებს განიარაღება არ სურთ

**ბრაზილიაში ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის აკრძალვის თაობაზე გამართულ რეფერენდუმზე ხმათა წინასწარი დაანგარიშების შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა: ქვეყნის მოსახლეობა არ ეთანხმება ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის სრულ აკრძალვას.**

გასულ წელს ბრაზილიაში მოკლეს 36 ათასი კაცი, უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში.

პრეზიდენტმა ლუის იგნასიო და სილვამ და ქვეყნის რელიგიურმა ლიდერებმა რეფერენდუმის მონაწილეებს მოუწოდეს მხარი დაეჭირათ აკრძალვისთვის, რასაც ასევე მოითხოვდა გაეროც.

რეფერენდუმის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე ამ აკრძალვის მოწინააღმდეგეებმა ხმათა მნიშვნელოვანი პროცენტები მოაგროვეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დროს. მათი მტკიცებით, ქვეყნის მცხოვრებლები იარაღის გარეშე სრულიად დაუცველნი იქნებიან შეიარაღებული ბანდიტების წინაშე. სტატისტიკის თანახმად, ბრაზილიაში ყოველ 15 წუთში ერთხელ კლავენ ადამიანს ცეცხლსასროლი იარაღით. ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოს მასშტაბით.

ქვეყანაში ამჟამად მოქმედი წესების მიხედვით, იარაღის ყიდვა შეუძლია ბრაზილიის ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი და გაიარა შესაბამისი შემოწმება.

# არჩევნებში ლეხ კაჩინსკიმ გაიმარჯვა

**პოლონეთის ახალი პრეზიდენტი გახდა ვარშავის მერი, „სამართალი და სამართლიანობის“ კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლეხ კაჩინსკი.**

გასულ კვირას გამართული პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში ხმათა 90 პროცენტზე მეტის დაანგარიშების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ კაჩინსკიმ გაუსწრო თავის ოპონენტს დონალდ ტუსკს. კაჩინსკიმ მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 55 პროცენტი, ტუსკმა — 45.

წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა გამოცხადებამ 50,49 პროცენტი შეადგინა.

„სამართლის და სამართლიანობის“ პარტიამ მოიპოვა სრული კონტროლი პოლონეთის ხელისუფლების ორგანოებზე, რადგანაც ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ პარლამენტის არჩევნებშიც სწორედ ამ პარტიამ მიაღწია წარმატებას.

ამომრჩეველთა გამოკითხვათა შედეგების გამოცხადების შემდეგ ლეხ კაჩინსკიმ განაცხადა, რომ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში და აღნიშნა, რომ საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას სამთავრობო კოალიცია „სამოქალაქო პლატფორმასთან“ ერთად.

„მე მსურს მოგიწოდოთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავასრულოთ მუშაობა მთავრობის შექმნისთვის. ამის შესახებ ვაპირებ ვესაუბრო დონალდ ტუსკს, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა მთელი ამ კამპანიის დროს“, — თქვა კაჩინსკიმ.

დონალდ ტუსკმა, თავის მხრივ აღიარა, რომ განიცადა დამარცხება. „როგორც ჩანს, მე წავაგე. მაგრამ თქვენ — გაიმარჯვეთ“, — უთხრა „სამოქალაქო პლატფორმის“ ლიდერმა თავის მომხრეებს ეგზიტ-პოლების შედეგების გამოცხადების შემდეგ.

ლიბერალმა ტუსკმა და კონსერვატორმა კაჩინსკიმ თავიანთი პოლიტიკური კარიერა დაიწყეს მოძრაობა „სოლიდარობაში“, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა პოლონეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობაში. თუმცა, ამ ორ პოლიტიკოსს სხვადასხვაგვარად ესახებათ პოლონეთის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

58 წლის ლეხ კაჩინსკი აპირებს შეინარჩუნოს იმ პირთათვის სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომლებიც დაზარალდნენ პოლონეთში უმუშევრობის ძალზე მაღალი დონის გამო. იგი ასევე ფრთხილად ეკიდება ბრიუსელთან ურთიერთობას და სურს გადადოს ქვეყანაში ევროს შემოღება. კაჩინსკი აპირებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ.

48 წლის ტუსკი არის ზომიერი პოლიტიკოსი, მას მტკიცედ სწამს, რომ პოლონეთს კეთილდღეობას მოუტანს ევროპის კავშირთან მჭიდრო ურთიერთობა და ევროზე გადასვლა. ტუსკს მიაჩნია, რომ პოლონეთში რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და სამუშაო ადგილების შემოღებას.

ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, პოლონეთში მეტი უფლებამოსილება ენიჭება ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მაგრამ პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი, შეუძლია დაადოს ვეტო კანონებს, ასრულებს მნიშვნელოვან როლს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში და წარმოადგენს ქვეყანას საზღვარგარეთ.



# რევოლუციათა ცისარტყელა ყოფილ სსრ კავშირში

**„ფაინენშლ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომლის ავტორიც გვიზიარებს თავის მოსაზრებებს იმაზე, თუ რად შეიძლება გადაიქცეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში დემოკრატიაზე ოცნება. მაგალითის სახით ავტორს მოჰყავს უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუცია“, საქართველოს „ვარდების რევოლუცია“ და ყირგიზეთში მოულოდნელად განვითარებული მოვლენები.**

მართალია, ამ სამი რევოლუციის შედეგების შეფასება ჯერჯერობით რთულია, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმების მოწინააღმდეგეები ბელორუსიიდან შუა აზიამდე იყენებენ ოპოზიციის მეთოდებს, ლოზუნგებს და ფერებსაც კი.

პოპულარობის შენარჩუნების მიზნით, ავტორიტარულ რეჟიმებს შეუძლიათ ადამიანებს შესთავაზონ ის, რაც მათ სურთ, კერძოდ, პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური რეფორმები ან დაადგნენ სხვა გზას და უმთავრესი ყურადღება გაამახვილონ ნაციონალიზმსა და ისლამიზმზე. გარდა ამისა, არსებობს კიდევ პირდაპირი ძალადობის კურსი, რომელმაც ნაწილობრივ გაამართლა უზბეკეთში, მაგრამ, ეს საერთო წესებიდან დროებითი გამონაკლისი უფრო უნდა იყოს.

სტატიის ავტორის აზრით, რუსეთისთვის რევოლუციური სიტუაცია ჯერ არ დამდგარა. ეკონომიკური ზრდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაწესებული კონტროლი და პატივისცემა ხელისუფლების მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას, ალბათ, ვერ შეცვლიან ძალთა განლაგებას 2008 წლის არჩევნების დროს.

სამაგიეროდ, სამ მეზობელ რეჟიმს მოუწევს საკმაოდ მკაცრი გამოცდების ჩაბარება უკვე უახლოეს ხანებში — იგულისხმება არჩევნები აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ბელორუსიაში.

რუსეთი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ყოველივე ამას, და, თავისი მომავალი არჩევნების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, მას არ სურს, საქმე იქონიოს ახალ რევოლუციებთან.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო აქტიურად იცავს დემოკრატიას ყოფილ სსრ კავშირში, და თვით ევროკავშირმაც კი, თავისი იმ ახალი წევრების ზემოქმედებით, რომლებსაც კარგად ახსოვთ, თუ რა არის საბჭოთა ბლოკი, აქტიური მხარდაჭერა გაუწია ვიქტორ იუშჩენკოს, თუმცა, რუსეთი ამის მომხრე არ იყო.

**„ბი-ბი-სის“**
**რუსული სამსახური**

**საქმე № 2-66**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

**რუსთავის საქალაქო სასამართლო**

13 ოქტომბერი 2005 წელი ქ. რუსთავი

**რუსთავის** საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატა თედეშვილმა განვიხილე სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი დამატებითი სხდომის მოწვევის საკითხი.

**დავადგინე:**

კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი დამატებითი სხდომა მოწვეული იქნეს **2005 წლის 11 ნოემბერს 10 საათისათვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. № 6.** დღის წესრიგად განისაზღვროს: კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება.

განჩინების მხოლოდ შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს დაფაზე, საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. სასამართლოს გარდა, განჩინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა განხორციელდეს გაკოტრების მმართველის მალხაზ ალბორაშვილის მიერ.

განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში **12 დღის ვადაში. ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. № 6.**

**მოსამართლე: ნ. თედეშვილი.**

◎ ქართული არქეოლოგიის პრობლემები

# ათორმეტო მოციქულო, შეეწიე...

(მეოთხე გვერდიდან)

„არქეოლოგიურ ძეგლზე სამუშაოს ნებართვას განსაზღვრული ვადით გასცემს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კომისიასთან შეთანხმებით; არქეოლოგიური კომისია აფასებს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების ანგარიშს და იძლევა მასზე დასკვნას; არქეოლოგიური კომისია გეგმავს, კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას“.

როგორც ხედავთ, შეთავაზებულია „ოქროს შუალედური“ სარედაქციო ცვლილება. ამით გათვალისწინებულია დღეს არსებული რეალიებიც და ობიექტური პროფესიული მოთხოვნებიც. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მას აუცილებლად გაითვალისწინებს.



ტყობია-იერდას ტაძრის დასავლეთის ბარელიეფი (XI ს.) ინგუშეთი.

აქ, ამჯერად არ განვიხილავ 2005 წლის 2 სექტემბრის დადგენილების ზოგიერთ ბუნდოვან განსაზღვრებას, მაგრამ, მუხლ 1/6 შესახებ კი აღვნიშნავ: არქეოლოგიურ „ძეგლზე სამუშაოთა ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძეგლის მესაკუთრე ან მისგან უფლებამოსილი პირი“. რომელ მესაკუთრესა და მისგან უფლებამოსილ პირზეა აქ საუბარი?... საუკუნეთა განმავლობაში იკარგებოდა, ნიავდებოდა და იყიდებოდა უფლისაგან ბოძებული საქართველო... ახლა, მიწისქვეშა საქართველოსაც ხომ არ მივადექით ჩვენივე დაწერილი კანონებითა და დადგენილებებით? ფრთხილად, თითოეული ჩვენგანი მიწისქვეშა, მიწისზედა და ზეციურ საქართველოში მოვიაზრებით... ვფიქრობ, დადგენილების შემდგენლებმა ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ამ დოკუმენტზე ბეჭედდამსმელი საქართველოს მთავრობა...

აქვე ვიტყვი, რომ, არქეოლოგიურ კომისიას მომზადებული აქვს კანონპროექტი „არქეოლოგიის შესახებ“, რასაც მთავრობასა და პარლამენტში წარადგენს.

***— ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ ქ. ასტრახანის ღვთისმშობლის ტაძრიდან მეფეთა: ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის ნეშტების თბილისის წმიდა სამების ტაძარში გადმოსვენების განზრახვის თაობაზე. სამეცნიერო ხელმძღვანელობა თქვენ, მოსკოვის დონის მონასტრის ქართული ნეკროპოლის შემსწავლელსა და აღმდგენელს დაგევალათ. რატომ შეყოვნდა ეს საქმე?***

— 2001 წელს ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრის თაოსნობითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში კვლავ გაცოცხლდა იდეა, ქართველ ერს აღესრულებინა თავის ბედკრულ მეფეთა: ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის ანდერძები, მათი ნეშტების საქართველოში გადმოსვენების თაობაზე. ამაზე არსებობს საქართველოსა და რუსეთის პატრიარქთა უაღრესად საყურადღებო მიმოწერა და ამ უკანასკნელის მზაობა და მხარდაჭერა აღნიშნული საკითხისადმი, ასევე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილობითი (ასევე ზეპირი) თხოვნა რუსეთის პრეზიდენტის ბატონი ვლადიმერ პუტინისადმი. 2003 წელს ილია II-ის კურთხევითა და ცნობილ ქველმოქმედთა მამუკა ხაზარაძისა და შალვა ბრეუსის მხარდაჭერით, მეუფე დიმიტრისთან და საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელ ბატონ ზურაბ ცხოვრებაძესთან ერთად ხელახლა (ამ საკითხს 1982 წლიდან ვიკვლევთ) მოვინახულეთ ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, ტიმოთე გაბაშვილის, გაიოზ რექტორის, იოსებ სამებელის, რომანოზ სამთავროელის განსასვენებელი ქ. ასტრახანის კრემლში. მოვილაპარაკეთ ქ. ასტრახანის გუბერნიის საერო და სასულიერო ხელმძღვანელობასთან. თან წამოვიღეთ სულისშემძვრელი მასალები (1972 წლის სარესტავრაციო-არქეოლოგიურ სამუშაოთა ანგარიში, უნიკალური ფოტო-მასალა, სამონასტრო მატიანე, ჩვენ წინაპართა საძვალისადმი ვანდალურ ფაქტებს რომ მოიცავს...).

ასტრახანის გუბერნიის მესვეურნი დაგვითანხმეთ. ოღონდ, ითხოვდნენ და ელოდებოდნენ რუსეთის პრეზიდენტის სათანადო განკარგულებას...

2004 წელს ეს საკითხი ხელახლა დავსვით საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის წინაშე. მან ამ საკითხის მომზადება საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა. შეიქმნა სათანადო დოკუმენტაცია, მოქმედების პროგრამა. მაგრამ ცხინვალის შარშანდელმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ასპექტებმა კიდევ ერთხელ შეაფერხეს მეფეთა ანდერძების აღსრულება... ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ სამეცნიერო-წყაროთმცოდნეობით კვლევას. სულ მალე ქართულ საზოგადოებრობას ვაუწყებთ ვახტანგ VI საფლავის შემზარავ საიდუმლოს...

***— მოდით შევთანხმდეთ: ვახტანგ VI აკლდამის საიდუმლოს შესახებ თქვენი გამოკვლევის საგაზეთო ვარიანტს, საქართველოს საზოგადოებრიობისთვის ფართოდ გასაცნობად, ჩვენს გაზეთში გამოაქვეყნებთ. დაბოლოს, ბატონო გივი, გთხოვთ მკითხველს კიდევ ერთხელ გააცნოთ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში თქვენი მრავალწლიანი კვლევა-ძიების, ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის წრის ძეგლების შესწავლის შედეგები. ქართველთა და კავკასიელთა ისტორიული ურთიერთობების გამომზეურებას ხომ მეტად მნიშვნელოვანი თანამედროვე პოლიტიკური ასპექტები აქვს.***

— გეთანხმებით. ამ ურთიერთობებს საქართველოსა და მთლიანად კავკასიისათვის ყოველთვის უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და ისტორიულ ვითარებათა მიხედვით ქართველი მეფეები, საქართველოს ეკლესია და სახელმწიფო იდეოლოგია სათანადო ყურადღებას აქცევდნენ ამ ურთიერთობათა შედუღაბებას...

XVIII საუკუნის მიწურულიდან იმიერკავკასიურ სივრცეში მკვლევართა თაობების მიერ გამოვლენილია ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის მრავალი მიწისქვეშა და მიწისზედა ძეგლი (1969 წლიდან მათ იკვლევს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1987 წლიდან კი — ამ ექსპედიციის ბაზაზე შექმნილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის კვლევის საპრობლემო ჯგუფი, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად): ნაეკლესიარ-ნატაძრალები, ადგილობრივთა ქრისტიანული სამარხ-სამაროვნები, ქვის, ხისა და ლითონის მონუმენტური და მცირე პლასტიკის ძეგლები, საეკლესიო კედლის მხატვრული ნიმუშები, ძირითადად სამლოცველო, სამშენებლო, ლიტურგიული შინაარსისა, კრებსითად — X-XVI საუკუნეებით დათარიღებული ძველქართული წერილობითი ძეგლები. ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის ქართული კულტურის ძეგლები, საისტორიო, ენობრივ, ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, ნათლად უჩვენებენ იმ ქვეყნებში ქრისტიანობის ხარისხზე, ქრონოლოგიურ დიაპაზონზე, და, **ხაზგასმითაა აღსანიშნავი, იქ მოქმედ ეკლესია-ტაძრებში ქართულ ღვთისმსახურებასა და მოსახლეობაში ქართული ენისა და დამწერლობის ფართოდ გავრცელებაზე, რაც საფუძველს ქმნის, შუასაუკუნეების ეპოქის გარკვეულ პერიოდში რეგიონში ქართული ენისა და დამწერლობის ლინგვა-ფრანკა-კოინე ენის სოციოლინგვისტური ფაქტის არსებობის შესახებაც ვისაუბროთ.** თავის მხრივ, ისინი, ასევე, ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ისტორიულ გეოგრაფიაზე (სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულსა და საეკლესიოზე), ონომასტიკა-ტოპონიმიკაზე და ა. შ.



ძველქართული წარწერა ქვის ჯვარზე. XII-XIII ს.ს. დაღისტანი.

**ქართული არქეოლოგიური კავკასიოლოგიის მიერ 1970-80 წწ. შემუშავებული ახალი მტკიცებულებებით, არა XII-XIII საუკუნეებში, საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობისას, საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმაღლესი ძლიერების ეპოქაში — დავით აღმაშენებლის-თამარ მეფის დროს, როდესაც საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა, არამედ, X ს. იწყება საქართველოდან იმიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ფართოდ გავრცელება-დამკვიდრება, რაც სათანადოდ აისახა კიდეც იმ ქვეყნების მატერიალურ კულტურებში.**

საქართველოს გაერთიანებამდე (ბაგრატ III-ის ეპოქა) ჩრდილოეთ-დასავლეთ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი, ბიზანტიასთან ერთად, დასავლეთ-ქართული სამეფო აფხაზეთია, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ იმერკავკასიაში — ქართლი და კახეთია, ხოლო გაერთიანების შემდეგ — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ამ ისტორიულ პროცესში განსაკუთრებითაა აღსანიშნავი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის როლი. საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ადრეფეოდალური ხანის მიწურულს საქართველოს ეკლესიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანება-მშენებლობაში. ანალოგიური როლი შეასრულა მან საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დაახლოებაში.

კავკასიის ინტეგრაციის ისტორიული ევოლუციური პროცესი, რომელიც პოზიტიური მოვლენა იყო, შეწყდა თათარ-მონგოლთა და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ. წარმოიშვა სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული რეგრესი. განვითარდნენ ცენტრიდანული ძალები, რომლებმაც დაშალეს არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. ბუნებრივია, იშლება კონფესიურ-კულტურული ერთიანობაც და ირღვევა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის საფუძვლებიც... იმიერკავკასიაში თანდათან ვრცელდება და მკვიდრდება ისლამი, რომელმაც ახალი პოლიტიკურ-სოციალური და, რელიგიურ-კულტურული ტენდენციები წარმოშვა...

იმასაც აღვნიშნავ, რომ XIX-XX ს.ს. ემპირიული მონაცემები ნათლად მიუთითებენ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ადგილობრივ მცხოვრებთა მოწიწებასა და რიდს თავისი ისტორიის ქრისტიანული პერიოდისა და მისი კულტურის ძეგლების მიმართ, რაც, ეთნოკულტურული ტრადიციის, სულიერი მემკვიდრეობითობისა და კულტურის ეკოლოგიის მნიშვნელოვან, საყურადღებო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს...

***— ბატონო გივი, იქნებ თქვენი ექსპედიციის ბოლო აღმოჩენის შესახებაც გვითხრათ ორიოდ სიტყვით?***

— დაღისტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ბოლო აღმონაჩენია მთიან დაღისტანში — ავარეთში, ქართული წყაროების „ღუნძეთში“, მის დედაქალაქზე — ხუნძახზე დამყურე აქაროს მთაზე, ზღვის დონიდან 2500 მეტრზე, X-XIV სს. „ათორმეტი მოციქულის სახელობის ტაძრის მიკვლევა — ასომთავრულითა და ნუსხურით 16 ძველქართულდამწერლობიანი ქვის ჯვრებით (წარწერებში ადგილობრივნი თორმეტ მოციქულს შეწყალებას შესთხოვენ...) და საყურადღებო არქეოლოგიური მასალით... თავისი სტრატეგიული, ფორტიფიკაციული და დაწყებული არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით, იმავე მთაზეა, ჩვენი ვარაუდით, ცნობილი სპარსელი არაბულენოვანი სწავლულის იბნ რუსთის (IX ს. II ნახ. — X ს. I ნახ.) მიერ მითითებული სარირის (ავარეთის) მეფის — ქართული წყაროების „ღუძთა ერისთავის“ — ციხე-სიმაგრისა და სასახლის ნანგრევები, რომელთა არქეოლოგიური შესწავლა შესაძლოა გაისად განვაგრძოთ.

თორმეტი მოციქული თქვენც შეგეწიოთ და ქართულ არქეოლოგიასაც, რომელსაც ახლა „ოქროს ხანა“ ნამდვილად არ უდგას, მაგრამ ქართველი ერი ხომ მომავლისადმი იმედიანი ერია და ამაშია მისი ძალაც და უკვდავებაც.

ესაუბრა
ალეკო ასლანიშვილი

◎ ნობელი — 2005

## განუჭვრეტელი დიალოგების დიდოსტატი

**2005 წლის ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მიაკუთვნეს ბრიტანელ ჰაროლდ პინტერს. მიმდინარე წელს ნობელის ლაურეატის არჩევას წინ უძღოდა გასული წლის ლაურეატთან დაკავშირებული სკანდალი. კნუტ ანლუნდმა დატოვა შვედეთის აკადემია იმის გამო პროტესტის ნიშნად, რომ 2004 წლის პრემია მიენიჭა სკანდალურად ცნობილ ავსტრიელ მწერალ ქალს ელფრიდა ელინეკს. რისთვის დასჭირდა საპატიო აკადემიკოსს მთელი წელიწადი დალოდებოდა იმ დროს, როცა შეძლებდა თავისი აღშფოთების გამოხატვას?**

როგორც მისმა კოლეგებმა ივარაუდეს, ალბათ, იმისთვის, რომ ჩაემწარებინა მათთვის ზეიმი. თუ მოახდინა ყოველივე ამან გავლენა ჰაროლდ პინტერისთვის პრემიის მინიჭებაზე? ალბათ, არა. როგორც ჩანს, თავისი როლი შეასრულეს ჩვეულებრივმა ფაქტორებმა. პინტერი, რა თქმა უნდა, გამორჩენილი დრამატურგია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა გასული საუკუნის მსოფლიო თეატრისთვის. მაგრამ, სწორედაც რომ გასული საუკუნის.

თანამედროვე თეატრის ფონზე, სადაც თითქმის ყველაფერია დაშვებული, ეს დიდი მეამბოხე, თითქმის ტრადიციონალისტადაც კი გამოიყურება. ალბათ, თავისი როლი შეასრულა მწერლის პოლიტიკურმა მრწამსმაც. იგი ცნობილია, როგორც ამერიკის მკაცრი კრიტიკოსი — ავღანეთში შეჭრის, სერბეთის დაბომბვისა და ერაყში გაჩაღებული ომის გამო. ეს ადამიანი იმასაც არ შეუშინდა, რომ პრეზიდენტ ბუშისთვის ეწოდებინა სერიული მკვლელი, 2003 წელს კი გამოსცა ლექსების კრებული „ომი“ — შვიდი ლექსი, რომლებშიც გამოთქვა მთელი თავისი რისხვა ყოველივე იმის გამო, რაც ერაყში ხდება.



ნობელის კომიტეტმა თავისი არჩევანი ოფიციალურად ასე დაასაბუთა: პინტერს პრემია ენიჭება იმის გამო, რომ მან „თეატრს დაუბრუნა ძირითადი ელემენტები: დახშული სივრცე და განუჭვრეტელი დიალოგები, როცა ადამიანები ერთმანეთის პირისპირ რჩებიან და ყოველგვარი თვალთმაქცობა და ფარისევლობა შეუძლებელია“. „თავის პიესებში იგი აშიშვლებს ყოველდღიურ ურთიერთობაში მიმალულ მახეებს, აღებს ქვეცნობიერების დახშული ოთახების კარს“, — მიაჩნიათ კომიტეტის საიტზე გამოქვეყნებული განცხადების ავტორებს. შემდეგ ხაზგასმულია, რომ „პინტერის დრამა თავდაპირველად აღიქვეს, როგორც „აბსურდის თეატრის“ ერთ-ერთი სახესხვაობა, თუმცა, მოგვიანებით უფრო ზუსტად ასე დაახასიათეს: „მუქარის კომედია“.

ყურადღება, აუქციონი!

**მცხეთის რაიონის გამგეობას აუქციონზე გასაყიდად გამოაქვს მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისიის მიერ**

1. ქ. მცხეთაში ე.წ. „აგურისქარხნის“ ტერიტორიაზე სტატისტიკისა და რაიონული არქივის შენობებს შორის გზასთან მდებარე ფერდობიდან 310 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი მასზე სავაჭრო და საოფისე ობიექტის ასაშენებლად. საწყისი გასაყიდი ფასი **3932.0 ლარი.**

2. ქ. მცხეთაში, სამშობიარო სახლის მიმდებარედ 225 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, შემდგომში პურის საცხობისა და სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად. საწყისი გასაყიდი ფასი **2853.90 ლარი.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას.

მისამართი: **ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. № 73 (მცხეთის რაონის გამგეობა). ტელ: 8 (2732) 27-27.**

საქართველოს კონტროლის პალატა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსს ატარებს

მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს კონტროლის პალატა ატარებს ტესტირებას მოხელეთა ატესტაცია-კონკურსის შედეგად გამოთავისუფლებულ 57 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 358-მა პრეტენდენტმა, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, საბუთების შემოტანის დროს, შეერჩიათ სასურველი სფერო და თანამდებობა.

ვრცელი ინფორმაცია საკონკურსო-საატესტაციო პროგრამისა და ინსტრუქციის შესახებ განთავსებულია საქართველოს კონტროლის პალატის ვებ-გვერდზე www.control.ge.

სახელმწიფო სამსახურის პრეტენდენტთათვის გამოცხადებული კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველი ეტაპი — ტესტირება, მეორე ეტაპი — გასაუბრება. მეორე ეტაპზე გადასასვლელად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების თანახმად, საჭიროა მინიმუმ 75 ქულის დაგროვება.

ტესტირება გაიმართება **28 ოქტომბერს,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში **10 საათზე.**

კონკურსის მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კონტროლის პალატის კადრების სამმართველოს, **ტელ: 74-58-52 და მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს, ტელ: 95-80-61.**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი, 2005 წ.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე შპს „გეო-ტეკის“ გენერალური დირექტორის ვ. გურგენიძის განცხადება შპს „გეო-ტეკის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-6[1], მე-7, მე-8, მე-11 და 31-ე მუხლებით.

**დავადგინე:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება შპს „გეო-ტეკის“ მიმართ.
2. აეკრძალოს შპს „გეო-ტეკს“ თავისი ქონების განკარგვა.
3. შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების მმართველად მისი ქონების მართვის მიზნით დაინიშნოს გიორგი ზედელაშვილი, დაბ. 31.10. 1974წ. თბილისში, მცხ. თბილისი, მე-3 მასივი, ზ/პლატო, კორპ. 4, ბ. 42, პროფესია — იურისტი. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები.
4. დაევალოს შპს „გეოტეკის“ ყველა კრედიტორს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ შპს „გეო-ტეკის“ ვალის არსებობას.
5. შეჩერებულ იქნეს შპს „გეო-ტეკის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების საქმის განმხილველ სასამართლოს. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულებების შესრულება ბათილია თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში.
6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც შპს „გეო-ტეკის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება მოთხოვნათა წაყენების ვადაში განუცხადონ შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ.
7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს შპს „გეო-ტეკის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი პირი ვალდებულია ვალდებულების შესრულება ან/და ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღვროს 2005 წლის 24 ოქტომბერს 14 საათი.
9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 2005 წლის 22 ნოემბერს 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. № 1, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.
10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც შპს „გეო-ტეკს“ აქვს საქმიანობა ურთიერთობა.
11. დაევალოს შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების მმართველს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლო დაფაზეც. გაეგზავნოთ განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში შესატანად.
12. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

**მოსამართლე: ი. ადეიშვილი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE

მოწვევა ინტერესის გამოსახატავად

საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობაზე

თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოები მდინარე არაგვის აუზში

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს ინტერესის გამოსახატავად საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, რომელიც შეეხება მდინარე არაგვის აუზში თბილისის წყალმომარაგების სისტემის აღდგენითი სამუშაოების წარმოებას. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად.

2. სამუშაოები მოიცავს: ა) ჟინვალის წყალსაცავის გაწმენდით სამუშაოებს; ბ) ნატახტრის ახალ წყალსადენში არსებული №1, 2, 3, 4 სალექრების, საინფილტრაციო მოედნების, სადრენაჟო მილდენების სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაშემოვლითი ნედლი წყლის მილდენის მოწყობის სამუშაოებს; გ) მისაქციელის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; დ) ჟინვალის წყალსადენის წყალმიმღების და დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ე) საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს; ვ) აბანოსხევის დამცავი დამბის აღდგენით სამუშაოებს. სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2005 წლის დეკემბრის დასაწყისიდან 2006 წლის მარტის ბოლომდე.

3. სატენდერო დოკუმენტაცია გამოცემულ იქნება 2005 წლის 1 ნოემბერს. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეუკვეთონ უსასყიდლოდ მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე ინტერესის გამოხატვის წერილის მოწოდებით. სატენდერო დოკუმენტები გამოცემისთანავე გაეგზავნება ფოსტით მოთხოვნილ მისამართზე ყველა იმ ფირმას, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს. თუკი ფირმა მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუმენტები გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე.

4. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა იქნება 2005 წლის 28 ნოემბერი. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ზუსტი დრო და წინადადების საბანკო გარანტიის ოდენობა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

5. დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა მოაწოდონ ინტერესთა გამოხატვის წერილები და შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
იეთიმ გურჯის ქ. №7-ბ, თბილისი 0105
ტელ: 94-32-40, 94-29-47,
92-34-70, 92-34-69
ფაქსი: 94-04-39
ელ-ფოსტა: MDF@MDF.ORG.GE

◎ კალათბურთი

# ცინცაძეც დაბრუნებულა

**კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნულ ჩემპიონატს გუშინ ეროვნული ნაკრების სასტარტო ხუთეულის წევრი, მოსკოვის ცსკას ყოფილი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე დაუბრუნდა, რომელმაც თბილისის „დინამოს" მაისური მოირგო.**

როგორც მოგეხსენებათ, დავით უსტიაშვილის გუნდი უკანასკნელთა კვალიფიციური ანსამბლით ისედაც გამოირჩეოდა (გამყრელიძე, ბადრიძე, ვანო მაისურაძე), ასე რომ, „ბუს" (ეს გახლავთ ცინცაძის მეტსახელი) დამატებით მისი წინალობა კიდევ უფრო დაუძლეველი გახდა.





პირველი, ვისაც ამ ხაფანგიდან გამოღწევა არგუნა კალენდარმა, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი იყო. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, პოლიტექნიკოსებმა საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს, რაც უკვე დასახელებულ მოთამაშეთა გარდა, ლაფანაშვილის, სუხიშვილისა და უმცროსი ნიკოლოზ დერიუგინის დამსახურებაა — 85:81.

**ყველაზე შედეგიანები:** ვანო მაისურაძე („დინამო", 22 ქულა); ლოსაბერიძე (სტუ, 17 ქულა).

არანაკლებ საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნიკორასა" და რუსთავის „აზოტს" შორის. მართალია, სტუმართა ლიდერს გოგობერიშვილს ტყორცნები არ წაუვიდა, მაგრამ არწივიძის, ჩაჩუასა და ლიპარტელიანის ძალისხმევით ქვემოქართლელები კარგა ხნის განმავლობაში ღირსეულად უმკლავდებოდნენ მრისხანე მეტოქეს, თუმცა მას შემდეგ, რაც მათ კალათბურთელებს პერსონალური შენიშვნები დაუგროვდათ, მატჩის ბედიც გადაწყდა — ლეჟავამ, მარხვაშვილმა და ტყეშელაშვილმა პარტნიორთა შემწეობით სტუდენტებს მძიმე გამარჯვება მოუტანეს — 77:64.

გუშინვე „ავიამშენმა" „მაქაბის" მოუგო 123:73, ქუთაისმა კი შინ სსუ-სთან წააგო 95:106.

მორიგი ტურის შეხვედრები 28 ოქტომბერს გაიმართება.

**გია პლატონიშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო**

◎ თბილისობა – 2005

# კამათელმაც დაამშვენა

**სიმბოლურია, რომ საქართველოს ახლადშექმნილი ნარდის ასოციაციის (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე) საბრძოლო ნათლობა თბილისქალაქობის დღესასწაულს დაემთხვა. პირველი ასპარეზობის წარმატებით გამართვას არაერთი სამსახურისა თუ პირის თანადგომამ შეუწყო ხელი.** გაგაცნობთ მათ ნაწილს, ვინც განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიეს ტურნირის ორგანიზატორებმა: მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (გიორგი უდესიანი), რესტორანი „ოდიში" (ოთარ აბდუშელიშვილი), მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (ლაშა მაქაცარია), „სამგორმშენი" (რომან ნამიჭეიშვილი), „ლაგუნა-ვერეს" დირექტორი ცისანა მჭედლიძე, თენგიზ შვანგირაძე, როლანდ და ვახტანგ ახვლედიანები.



შეჯიბრების მთავარ პრიზს — ჭედილას ქართულ (მოკლე) ნარდში გამარჯვებული ედიშერ თაკვარელია დაეუფლა, რომელმაც ფინალში ლაშა ტაბუცაძეს სძლია. მესამე პრიზიორები ხვიჩა კურტანიძე და ჭიათურელი ბადრი ცერცვაძე გახდნენ.



სპეციალური პრიზით — „ლამაზი ნარდი" — აღინიშნა ქალთა ტურნირის ლაურეატის, ნარდის ნონად აღიარებული ნანა ხაზიურის ოსტატობა. მეორე ადგილი ლელა იაშვილმა დაიკავა, ხოლო მესამე — თამარ იაშვილმა და ნათია კვიციანმა. დანარჩენ სახეობებში ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

**გრძელი ნარდი** — ომარ დვალი, სოსო გაგნიძე, პოპულარული ტელეკომენტატორი ნუგზარ ჯულელი და იური ხაჩატურიანი.

**ნარდი საერთაშორისო წესებით** — ბადრი ცერცვაძე, გიგო თუხარელი, დემურ მაღლაკელიძე და გოჩა ჭოხონელიძე (ტყიბული).

**შემდეგი ტურნირი 29-30 ოქტომბერს დილის 10 საათზე „კუს ტბაზე" გაიმართება.**

**სურათებზე: თამაშობს ომარ დვალი; ბადრი ცერცვაძეს აჯილდოებს თემურ ქურციკიძე.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ფეხბურთი

# შინ და გარეთ



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

**ფეხბურთელთა XVII ეროვნულ ჩემპიონატს X ტურის შემდეგ ერთბაშად ორი ლიდერი ჰყავს, რომლებსაც აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ. ესენი არიან შარშანდელი სკანდალური „ოქროს მატჩის" მონაწილენი „ვიტ ჯორჯია" და „სიონი", თუმცა ქვეყნის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რომ მინიმუმ კიდევ ოთხი გუნდი ჩაებმება, სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს.**

***ტურის შედეგები:*** „ლოკომოტივი" — „ზესტაფონი" 0:0, „ამერი" — „ბორჯომი" 1:0, „სპარტაკი" — „ვიტ ჯორჯია" 1:4, „ტორპედო" — „დინამო" 0:2, „სიონი" — „ცხინვალი" 6:1, „დილა" — „თბილისი" 3:0, „ბათუმი" — „კახეთი 1:0, „კოლხეთი" — „სოხუმი" 4:0.

***სატურნირო ცხრილი:*** „ვიტ ჯორჯია", „სიონი" — 25-25, „ლოკომოტივი" — 24, „ბორჯომი" — 21, „დინამო", „ამერი" — 19-19, „ბათუმი" — 16, „დილა", „კოლხეთი" — 15-15, „ზესტაფონი" — 14, „კახეთი" — 12, „ცხინვალი" — 9, „ტორპედო" — 8, „სოხუმი" — 7, „სპარტაკი" — 4, „თბილისი" — 0 ქულა.

***შემდეგი ტური:*** „სოხუმი" — „ამერი", „კახეთი" — „კოლხეთი", „ზესტაფონი" — „დილა", „დინამო" — „ლოკომოტივი", „ცხინვალი" — „ტორპედო", „ვიტ ჯორჯია" — „სიონი", „ბორჯომი" — „სპარტაკი" (30 ოქტომბერს) და „თბილისი" — „ბათუმი" (31 ოქტომბერს).

* * *

ორი ფრე, ერთი წაგება და ბოლო ადგილი — ასეთი გახლავთ საქართველოს 17-წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების (მთავარი მწვრთნელი **ლევან მელიქია**) წარუმატებელი გამოსვლის შედეგი ბელგიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ფინალურ ტურნირზე გასასვლელად ბრძოლას ჩვენი ჯგუფიდან ბულგარეთისა და ავსტრიის გუნდები გააგრძელებენ. გთავაზობთ ჩვენებურთა შედეგებს:

*საქართველო — ბელგია 2:2.*
*საქართველო — ავსტრია 0:2.*
*საქართველო — ბულგარეთი 1:1.*

* * *

**იტალია. VIII ტური.** „ლეჩე" — „იუვენტუსი — 0:3, „მილანი" — „პალერმო" 2:1, „უდინეზე" — „ინტერი" 0:1.

***ლიდერთა ჯგუფი:*** „იუვენტუსი" — 24, „მილანი" — 19, „ინტერი" — 18 ქულა.

**ესპანეთი. VIII ტური.** „ხეტაფე" — „სარაგოსა" 5:2, „სელტა" — „ესპანიოლი" 1:0.

***ლიდერთა ჯგუფი:*** „ხეტაფე" — 17, „სელტა" — 16 ქულა.

**ინგლისი. X ტური.** „ევერტონი" — „ჩელსი" 1:1, „პორტსმუთი" — „ჩარლტონი" 1:2, „მანჩესტერი" — „ტოტენჰემი" 1:1, „ასტონ ვილა" — „უიგანი" 0:2.

***ლიდერთა ჯგუფი:*** „ჩელსი" — 28, „ჩარლტონი", „ტოტენჰემი", „უიგანი" — 19-19 ქულა.

**გერმანია. X ტური.** „ბაიერნი" — „დუისბურგი" 4:0, „ჰანოვერი" — „ვერდერი" 0:0, „ბორუსია" — „ჰამბურგი" 1:1.

***ლიდერთა ჯგუფი:*** „ბაიერნი" — 25, „ვერდერი" — 23, „ჰამბურგი" — 21 ქულა.



◎ დაბრუნება

# ვიქტორ სანეევი ისევ სამშობლოშია

**ცამეტწლიანი განშორების შემდეგ კვირას ავსტრალიიდან ვენის გავლით სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს მე-20 საუკუნის სპორსტმენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი.**



სხვა საქართველო დავტოვე და სხვა საქართველო ვიხილეო, — ბრძანა თბილისში ჩამოსულმა ოლიმპიადების სამგზის გამარჯვებულმა, რომელსაც გუშინ ერთობ დატვირთული დღე ჰქონდა. ვიქტორ სანეევმა ჯერ ყვავილებით შეამკო ოლიმპიური ჩემპიონების — მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის, ჰელსინკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ოთარ ქორქიას, ასევე, სახელოვანი ფეხბურთელის — კახი ასათიანის საფლავები, შემდეგ ამაგდარ ათლეტს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, ჯანო ბაგრატიონმა, სეოკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა.



დღის მიწურულს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა მიიღო.

— სამშობლოში თქვენს დაბრუნებას მთელი საქართველო ადევნებს თვალს. არც ისე დიდი დრო დარჩა იქამდე, როცა ჩვენ ერთად წავალთ სოხუმში, — უთხრა ბატონმა მინისტრმა ვიქტორ სანეევს და ხელოვნების ეროვნული ცენტრის მიერ დამზადებული „ოქროს ირემი" გადასცა საჩუქრად.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო**

◎ ძალისმიერი სამჭიდი

# რეკორდების დღე უნივერსიტეტში

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 ოქტომბერს დასრულდა კოტე ზაუტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. იგი ტრადიციულად რეკორდების სიუხვით აღინიშნა.**

ათლეტები თავიდან სამჭიდში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში თავი გამოიჩინა **ვლადიმერ ნაზღაიძემ**. მან ჯერ 1989 წელს **უჩა ქორიძის** მიერ დამყარებული რეკორდი (200 კგ.) გააუმჯობესა ჩაჯდომში შედეგით 200,5 კგ. შემდეგ ამ შედეგს 14,5 კგ. დაუმატა (215 კგ.), ხოლო საბოლოოდ 230 კგ. დაძლია. მანვე გაიმარჯვა სამჭიდის ჯამში — 515 კგ.

90 კგ-მდე წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო **ზურაბ ძამუკაშვილი**, მესამე დასკვნით მოძრაობაში — ამოწევაში — მან 320 კგ. ამოწია და საქართველოს რეკორდი 10 კგ-ით გააუმჯობესა. სარეკორდო აღმოჩნდა მის მიერ დაგროვებული სამჭიდის ჯამიც: 230+200+320=750 კგ. ზურაბი ამასაც არ დასჯერდა და 350 კგ-ზე მიიტანა იერიში, მან წონა დაძლია და სამჭიდის ჯამი 780 კგ-მდე გაზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ ამოწეული წონა (350 კგ.) 4,22-ჯერ აღემატება მის პირად წონას — 82,9 კგ-ს და საქართველოს აბსოლუტური რეკორდია.

125 კგ-მდე წონით კატეგორიაში ჩაჯდომში **შოთა ბეჟაშვილის** მიერ 1989 წელს დამყარებული საქართველოს რეკორდის (340 კგ-ის) გაუმჯობესება სცადა უნივერსიტეტელმა ათლეტმა **კახა დათუკიშვილმა**, მაგრამ რეკორდი ამჯერად არ შედგა, თუმცა ათლეტი ახლოს იყო 340,5 კგ-ის დაძლევასთან.



ასევე საინტერესოდ წარიმართა ასპარეზობა წოლჭიმში. 100 კგ-მდე წონით კატეგორიაში **პაატა ქავთარაძის** საქართველოს რეკორდი 0,5 კგ-ით გააუმჯობესა **ვაჟა გივიშვილმა**, მისი საბოლოო შედეგია 230,5 კგ.

125 კგ-მდე წონით კატეგორიაში თავი გამოიჩინა **გიორგი ჩაკვეტაძემ**. მან ჯერ საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა 10 კგ-ით და 260 კგ. აჭიმა, ხოლო შემდეგ — 273 კგ. ეს შედეგი საქართველოს აბსოლუტური რეკორდია. გიორგი ამასაც არ დასჯერდა და იერიში 290 კგ-ზე მიიტანა, მაგრამ ამჯერად წონა ვერ დაიმორჩილა.

ძალისმიერ სამჭიდში გუნდური გამარჯვება მოიპოვა თელავის „შევარდენმა" (მწვრთნელი **ბექა მაზანიშვილი**), წოლჭიმში კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა (მწვრთნელი **ნუგზარ დავითური**). შეჯიბრს უძღვებოდა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის (საფ) გენერალური მდივანი **ელგუჯა კვიკვინია**, ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ საფ-ის პრეზიდენტი **ნიკოლოზ სარალიძე**, ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ბოჭორიშვილი,** საპატიო პრეზიდენტი **გიორგი კობერიძე**, თსუ სპორტული ცენტრის უფროსი **ამირან სანიკიძე**.

ამ დღეებში საქართველოს ათლეტიზმის ეროვნული ნაკრები გუნდი აშშ-ს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში მიემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე. გუნდის შემადგენლობაში არიან შემდეგი ათლეტები: **გერონტი ჯმუხაძე, იაგო ინწკირველი, ხვიჩა მამედოვი, სერგო მერაბიშვილი, ნიკოლოზ შარაძე, გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ მამალაძე, ბექა მაზანიშვილი, ვაჟა გივიშვილი, ზაურ ჯავახიშვილი, გიორგი მინდიაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი, ვლადიმერ ნაზღაიძე, კახაბერ ქაფიანი, კახა დათუკიშვილი, არტემ დალაქიშვილი, ზურაბ ძამუკაშვილი.**

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
**საქართველოს ათლეტიზმის ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, პროფესორი.**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## „ჩელსი" ანრის უმიზნებს

**რუსეთელი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის ინგლისური კლუბის „ჩელსის" მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის მთავარი მიზანი იქნება „არსენალისა" და საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელი ტიერი ანრის შეძენა, — წერს გაზეთი Sunday Mirror. ფიქრობენ, რომ აქ გადამწყვეტი ფაქტორი იქნება ანრისთვის „ბარსელონასთან" და „რეალთან" ბრძოლაში რუსეთელის ფული .**



როგორც ცნობილია, ანრიმ შეწყვიტა „არსენალთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკება. მისი თქმით, ის იმედგაცრუებულია წლევანდელ სეზონში გუნდის თამაშითა და იმ ინვესტიციებით, რასაც დირექტორთა საბჭო გამოჰყოფს ახალი ფეხბურთელების შესაძენად.



თავად „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმაც აღიარა, რომ ახლანდელი სეზონი ამ გუნდის შემადგენლობაში ალბათ ანრისთვის ბოლო იქნება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც აბრამოვიჩმა „ჩელსი" შეიძინა, „ლურჯებმა" უკვე ორჯერ შესთავაზეს „არსენალს" თავისი სუპერფორვარდის გაყიდვა (ბოლოს — 50 მილიონ გირვანქად), მაგრამ „მექვემეხეებმა" უარყვეს ეს წინადადება.

## უმდიდრესი ბექჰემი?

**თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ვარსკვლავს დევიდ ბექჰემს ძალზე ეცოტავება ხელფასი — 145 ათასი გირვანქა სტერლინგი კვირაში (რეკლამისა და ატრიბუტების გაყიდვით შემოსავლის ჩაუთვლელად). მას მიაჩნია, რომ „რეალის" ხელმძღვანელობა მისით „ხელს ითბობს", თუმცა არ ცდება.**

როდესაც ინგლისელი სამეფო კლუბში გადავიდა, „რეალის" შემოსვალი 127 მილიონი გირვანქა იყო, ახლა — 190 მილიონი გირვანქაა.

როგორც თავად მადრიდელთა ხელმძღვანელობა აღიარებს, ეს სწორედ ბექჰემის წყალობითაა. „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა კი განაცხადა, რომ „ის სტადიონ „სანტიაგო ბერნაბეუს" უფრო გაყიდის, ვიდრე ბექჰემს".

ხედავს რა ასეთ დამოკიდებულებას, ინგლისის ნაკრების კაპიტანი მოითხოვს ხელფასის გაზრდასაც და მისი სახელობითი ატრიბუტიკის გაყიდვის წილსაც. თუკი „რეალის" ხელმძღვანელობა ამ საკითხს მოაგვარებს, მაშინ ბექჰემი მესამე, ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი იქნება მსოფლიოში, მეგოლფე ტაიგერ ვუდსისა და „ფორმულა-1"-ის პილოტის მიხაელ შუმახერის შემდეგ (თუ უფრო წინა არ გაიჭრება).

## ზვავმა ჩაიტანა

**დასავლეთ ნეპალის მთებში ზვავმა ჩაიტანა 18-კაციანი ალპინისტთა ჯგუფი — აქედან 7 ფრანგი და 11 ადგილობრივი მცხოვრები. მათთან კავშირი შეწყდა მას შემდეგ, რაც ზვავმა გადაუარა მთა კანგ გურუზე ზღვის დონიდან 6981 მეტრზე მდებარე ბაზას.**

ჯგუფი 21 კაცისგან შედგებოდა, მოხერხდა მხოლოდ სამი ნეპალელის გადარჩენა. ისინი ვერტმფრენით ქალაქ პოკხარის საავადმყოფოში გადაიყვანეს.



გრძელდება დანარჩენების ძებნა. მაშველთა ბრიგადა ვერტმფრენებით მთასვლელთათვის ნაცნობ მანანგაში გადაისროლეს, საიდანაც მაშველები ფეხით წავლენ ზვავის ჩამოწოლის რაიონისკენ.

## დიდი ფეხბურთის „მემკვიდრე"

**ფეხბურთის გულშემატკივართა ახალგაზრდა თაობამ, შესაძლოა, ბევრი არაფერი იცოდეს პიერ ლიტბარსკის შესახებ. მაგრამ ის ხომ სამართლიანად ითვლებოდა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების არა მარტო გერმანული, არამედ ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავად, გერმანიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდა. ახლა ის, ძირითადად, მწვრთნელის საქმიანობას მისდევს. მაგრამ, როგორც ამბობენ, მას ნორმალურ მუშაობაში ძალზე უშლის ხელს მისი 18 წლის ქალიშვილის მიშელის შემარცხვენელი გამოხდომები.**

ამას წინათ მიშელი გახდა ტელეპროგრამის „დიდი ძმის" მთავარი გმირი. პროექტის რეჟისორმა მას ისეთი როლი შესთავაზა, რამაც მამამისი ძალზე შეაცბუნა. მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ მიშელი ძალზე ხშირად დედიშობილა დასეირნობს, თანაც რომანი გაუმართავს იტალიელ ჯუზეპესთან. გერმანელი მაყურებელი ალბათ მალე იხილავს ძალზე პიკანტურ სასიყვარულო სცენებს ლოგინში, რომლის მთავარი გმირები მიშელი და ჯუზეპე იქნებიან.



როგორც ამბობენ, პიერ ლიტბარსკის დასამდური არაფერი აქვს. მისი ქალიშვილი ტელემაყურებელთა ყურადღების ცენტრში მაინცაა, მისი თანაგუნდელის გფრ-ის ნაკრებიდან ლოთარ მატეუსის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან ხომ უბრალო ოფიციანტად მუშაობს ავსტრიულ ლუდხანაში.

◎ კარატე

# თასი თბილისში დარჩა

**თელავი სამ დღეს მასპინძლობდა კავკასიის ღია აბსოლუტური კატეგორიის ჩემპიონატს კონტაქტურ კარატეში საქართველოს ნაციონალური ავიახაზების თასზე. შეჯიბრებაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და პაკისტანის 29 სპორტსმენი მონაწილეობდა.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკზე მხოლოდ ქართველი სპორტსმენები აღმოჩნდნენ. პირველ ადგილზე გავიდა თბილისელი ედუარდ ჯანოაშვილი, რომელმაც ფინალში მარტყოფელ ლევან მჭედლიშვილს სძლია. დედაქალაქელებს — გიორგი მეხრიშვილსა და გოჩა სამხარაძეს ბრინჯაოს მედლები ხვდათ.



საგულისხმოა, რომ საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ და მისმა ენერგიულმა პრეზიდენტმა კახა მარკოზაშვილმა წლეულს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრების ორგანიზება შეძლეს მაღალ დონეზე. შეგახსენებთ, რომ ივლისში, ასევე, თელავში გაიმართა ღია მსოფლიო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში.

გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ბატონმა კახა მარკოზაშვილმა კავკასიის ღია ჩემპიონატთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა. აღნიშნა, რომ შეჯიბრების ორგანიზებაში ფედერაციას აქტიური დახმარება გაუწიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, თელავის რაიონის გამგეობამ, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის თელავის ფილიალმა, კავკასიის საბრძოლო ხელოვნებათა პროფესიულმა ლიგამ. გენერალურ სპონსორთან — საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებთან ერთად ტურნირის მაღალ დონეზე გამართვაში თავისი წვლილი შეიტანეს სეოკმა, „სამგორი-ჯგუფმა", „თელავის ღვინის მარანმა", ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ, სააქციო საზოგადოება „ვაზიანმა", ღვინის კომპანია „შუმმა", კომპანია „ქართულმა ვაზმა და ღვინომ", საქართველოს ახალგაზრდა მეღვინეთა კავშირმა, სასტუმრო „თბილისი-მერიოტმა" და არასამთავრობო ორგანიზაციამ — „გადავარჩინოთ მომავალი".

ფედერაციის პრეზიდენტმა კახა მარკოზაშვილმა მადლობა გადაუხადა შეჯიბრების ორგანიზატორებსა და მხარდამჭერთ. აღნიშნა, რომ ასეთი თანადგომა თუ იქნება, გადავარჩენთ ჩვენს მომავალს, რომელიც მრავალჯერ ასახელებს საქართველოს.

**გიორგი გაგუა**

ⓞ იხუმრეთ რამე

# რეპორტაჟი რიყიდან




საწნახელში უმალ ჩადგა გრძელი რიგი
და ერთ რამედ ღირდა იგი — მერი გიგი!
დღეს რამდენი შევკრებილვართ, ჩელენტანო,
ნუ შემარცხვენთ ჯერ ფეხებო, მერე ტანო!..

**თამაზ ილმელი**

ⓞ ცოტაც გავიცინოთ...

— ორი კბილის ანთება გაქვთ. ორივე ამოსაღებია.
— რა დაჯდება ეს?
— ასი დოლარი.
— ასი დოლარი ორიოდ წუთისთვის?
— თუ თქვენ მოგწონთ, შემიძლია ძალიან ნელა ამოგიღოთ.

* * *

— თქვენ ძმები ხართ?
— არა, ტყუპები.
— რაო, ტყუპები ძმები არ არიან?
— ყოველთვის არა, მაგალითად, დები!



* * *

ახალდაქორწინებულებს დილით გამოეღვიძათ.
— ძვირფასო, რა გვაქვს საუზმედ? — კითხულობს ქმარი.
— სიყვარული, ძვირფასო!
— სადილად რა გვექნება? — კითხულობს ქმარი ნაშუადღევს.
— სიყვარული, ძვირფასო!
დადგა ვახშმობის დრო. ცოლი გათბობის ბატარეაზე ზის.
— ძვირფასო, მანდ რას ზიხარ, არ ჯობდა, ვახშმის მომზადებაზე გეფიქრა?
— სწორედ ვახშამს ვათბობ!

* * *

— რა განსხვავებაა აქლემსა და ადამიანს შორის?
— აქლემს შეუძლია, ერთი კვირა იმუშაოს და არ დალიოს, ადამიანს კი ძალუძს ერთი კვირა სვას და არ იმუშაოს...

* * *

ჰილარი კლინტონი შეიძლება 2008 წელს ამერიკის პრეზიდენტი გახდეს!
მონიკა ლევინსკის ქმარი თეთრი სახლის ადმინისტრაციაში იწყებს მუშაობას.

ⓞ ლარის კურსი

**25 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1404 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7970 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,1384 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0627 | ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3912 | ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3991 | ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5797 | ლარი. |

ⓞ ხელოვნება

# არა ოდენ წიგნის წარდგენა

**სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ფოტოსურათთან, მისი წიგნის „მიმოზებს მოგიტან, დედა...“ გარეკანს რომ ამშვენებს, ყვავილები ეწყო. დარბაზი სევდას მოეცვა ამ ქვეყნიდან წასული ქალბატონის გამო.**

ეს იყო გახსენება ქვეყნის ყოფილი პირველი ქალბატონისა, რომელმაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ეს შეკრებილთ შეახსენეს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარემ მაია კვეზერელი-კოპაძემ, თანათავმჯდომარემ ნელი გურგენიძემ, აკადემიკოსებმა თამარ დეკანოსიძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფესორმა რამაზ ყურაშვილმა, პოეტებმა რეზო ამაშუკელმა, მზია ხეთაგურმა, ჯანსულ ჩარკვიანმა. გაიხსენეს ნანული შევარდნაძესთან ურთიერთობის სხვადასხვა მომენტი.

ამიტომაც იყო ეს საღამო გაჯერებული სითბოთი და მონატრებით, რომელიც შეავსეს მისი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებებით და ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლით.

იყო გახსენება ნანული შევარდნაძის, როგორც ქველმოქმედის, ნიჭიერი მთარგმნელის და ჟურნალისტის, ქალთა საერთა-



შორისო ასოციაციის პრეზიდენტის და გაზეთ „მშვიდობა ყოველთას“ დამაარსებლის და მთავარი რედაქტორის, მზრუნველობასმოკლებულ ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა მფარველის, ნუგეშდაკარგულ დედათა თანამდგომის...

... მოგეხსენებათ, ქვეყნის პრეზიდენტის ოჯახის, მეუღლისა და შვილების მიმართ ინტერესი ყველა ქვეყანაში და, ბუნებრივია, ჩვენშიც ძალიან დიდი იყო და არის. დღესაც როგორ ჟღერს ქალბატონ ნანულის მიერ ჟურნალისტის კითხვაზე, — „ოდესმე თქვენთან მომავალი პრეზიდენტის მეუღლე რომ მოვიდეს და რჩევა გთხოვოთ, თუ როგორ მოიქცეს, რას ეტყოდით მას?“ მისი პასუხი:

— „დარჩით ისეთი, როგორიც იყავით, ვიდრე პრეზიდენტის მეუღლე გახდებოდით...“

ასეთი იყო ნანული შევარდნაძე. ყველასთან და ყველა დონეზე ბრწყინვალედ წარმოაჩენდა თავის ხალხს, ოჯახს, სამშობლოს. ძნელი იყო იმ დიდი და მძიმე ტვირთის ზიდვა, რაც ბედმა დააკისრა, მაგრამ მან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ღირსეულად ატარა იგი. ეს ყველაფერი ითქვა იმ დარბაზში, სადაც მისი წიგნის „მიმოზებს მოგიტან, დედა...“ წარდგენა შედგა.

წიგნი მოამზადეს მაია კვეზერელი-კოპაძემ, ნელი გურგენიძემ, რუსუდან დარჩიაშვილმა, ზაირა სხირტლაძემ და ქეთევან გოგელიამ. წიგნის რედაქტორია არმაზ სანებლიძე, მხატვარი — ლეონარდო შენგელია.

**ნათელა ფაილოძე**

ⓞ თითქმის ნატურიდან

# გარინჩა

**გვარს** ვერ გაგიმხელთ, პარლამენტარია და არ მინდა იმიჯი შეელახოს. ისე მეტსახელად გარინჩას ეძახიან — ბავშვობაში ფინტების კეთება ჰყვარებია და ამიტომ შეარქვეს.

დავაჟკაცებულს ფეხბურთის სიყვარული ნადირობის ტრფიალმა შეუცვალა. პარლამენტშიც ამან მიიყვანა. კაცია და გუნება, აქ ბევრი იმისთვის მოდის, რომ ფული აკეთოს, გარინჩა კი დეპუტატის „მანტიას“ ნადირ-ფრინველის გასაჟლეტად იყენებს.

— გეტირა ყოფა, ძმაო, — ეუბნება მეგობარი გარინჩას, — ფრინველზე ნადირობა რომ აიკრძალა, ახლა სად გარბიხარ?

— არხეინად იყავი, მე ეგ არ მეხება, დეპუტატის იმუნიტეტი მიცავს.

— ქათმის გრიპს, სიმონ, შენი იმუნიტეტი ფეხებზე ჰკიდია, დაგეტაკება და არც გკითხავს ვინა ხარ, ისე გაგაგორებს.

— გამაგოროს და გამაგოროს, მაინც ქაჯებს გვეძახიან და...

— გეწყინა? დამშვიდდი, მარტო პარლამენტში ხომ არა ხართ ქაჯები, სამინისტროები, დეპარტამენტები, მერიები, გამგეობები და სხვა სტრუქტურებიც სავსეა ქაჯებითა და გოიმებით, მაგრამ განაბული არიან. ამერიკა რომ ამერიკაა, იქაც ბლომად მოიძებნებიან ქაჯები.

— მერე ეს რაში დაგვეხმარება?

— ვერაფერში. ღმერთმა დაიფაროს, ქათმის გრიპი არ დაგეძგეროთ, თორემ შეიძლება რამდენიმე დღეში საპარლამენტო უმრავლესობიდან უმცირესობაში აღმოჩნდეთ.

— ეე, არ იცნობ სიტუაციას და ლაპარაკობ.

— რა სიტუაციას?

— ბოკერიამ ხო განმარტა, ძალიან სუსტი ოპოზიცია გვყავსო. პარლამენტში გრიპი თუ შემოვარდა, პირველ რიგში მისუსტებულ ოპოზიციას გაჟუჟავს.

— მაინც უნდა იფრთხილო.

— აკი ვფრთხილობ, ფრინველს ისე არ ვესვრი, თუ წინასწარ არ დავაზუსტე, რომელი ქვეყნიდან მოფრინავს.

— მერედა, როგორ აზუსტებ, ძაღლის ყნოსვას ენდობი?

— იჰ, რაღა დროს ძაღლია, სიმონ, კომპიუტერით ვნადირობ.

— კომპიუტერით? — პირი დააღო სიმონამ.

— აბა როგორ, ფრინველს ჯერ ესემესს ვუგზავნი, ვაზუსტებ, რომელი ქვეყნიდან მოფრინავს და მერეღა ვესვრი.




— კონკრეტულად რას ეკითხები?

— ვეუბნები: იხვო, იხვო, საიდან მოფრინავ?

— თურქეთიდან.

— წადი, თავისუფალი ხარ.

— შენა, იხვო? — ვეკითხები მეორეს.

— რუმინეთიდან.

— იფრინე რამდენიც გინდა, ოღონდ საქართველოს ტერიტორიაზე არ დაეშვა.

— მაგათ რომ დაუჯერო, ტო, თავის გადარჩენის მიზნით, ყველა თურქეთსა და რუმინეთს გეტყვის.

— სწორი ხარ, ზოგი ტყუილსაც კადრულობს. ამას წინათ, მაგალითად, ერთს არ დავუჯერე და ვესროლე. აღმოჩნდა, რომ თურმე თურქეთიდან კი არა, გერმანიიდან მოფრინავდა.

— მერე, არ დასაჯე?

— რა თქმა უნდა, შინ რომ დავბრუნდი, ჩავხრაკე და შევახრამუნე.

—ოო, ეგ უკვე საშიშია. ახლა იმ იხვისგან გრიპი თუ აიკიდე, მერე რას შვრები?

— არაფერსაც არ ავიკიდებ, გრიპი ქათმისგან პირდაპირ ადამიანზე არ გადადის.

— აბა რაზე გადადის?

— ჯერ ღორზე, ღორიდან კი — ადამიანზე.

— რატომ მაინც და მაინც ღორიდან?

— იმიტომ, რომ ცხოველებიდან ყველაზე მეტად ღორი ჰგავს ადამიანს.

— რითი, კაცო?

— საქციელით, სიხარბით, გაუმაძღრობით და ასე შემდეგ.

— გამოდის, რომ ჩვენ ღორისა უფრო უნდა გვეშინოდეს, ვიდრე ქათმისა.

— აბა რას გეუბნები, ღორის მწვადს უნდა მოვეშვათ და ინდაურის საცივზე გადავიდეთ.

— ამის თაობაზე პარლამენტში თუ იციან?

— არ ვეუბნები.

— რატომ?

— იქნებ ვინმეს შეხვდეს გრიპი და გადავრჩებით.

— ვერ მიგიხვდი?

— უმცირესობა ხომ პარლამენტის ვადამდელი არჩევნებით გვემუქრება!

— მერე ეს ქათმის გრიპთან რა კავშირშია?

— გაეროს ამასწინანდელ რეზოლუციაში პირდაპირ ჩაწერილია...

— რა, კაცო?

— რომელიმე ქვეყნის პარლამენტში ქათმის გრიპი თუ გაჩნდა, მისი დათხოვნა ან ხელახალი არჩევნები სასტიკად აკრძალულია.

— აბა საშენოდ ყოფილა საქმე, ხოცე თურქეთიდან მომავალი იხვები და პარლამენტში შეყარე!

**ოთარ ხუციშვილი**


# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**


ⓞ უცხოეთის პრესიდან

# აჲი რაღა გაგვიქირდება!

**სასიხარულო ახალი ამბავი მოედო მთელს ქვეყანას: რუს გენერლებს და პოლკოვნიკებს დაუბრუნებენ ფაფახებს.** დიდ უბედურებად არ უნდა მივიჩნიოთ, თუ ოფიცერი არ იქნება წელში გამართული და წარმოსადეგი, მის თვალებში კი ვერანაირ აზრს ვერ ამოვიკითხავთ. მთავარი ხომ ის არის, რომ იგი სხვებისგან გამორჩეული იქნება... კრაველის ფაფახით. იქნებ, სიმაღლეში ზრდასთან ერთად კიდევ სხვა რამეც გაიზარდოს, მაგალითად, რუსული არმიის, და, განსაკუთრებით, მისი სამეთაურო შემადგენლობის რეიტინგი. ამიტომაც, უპრიანი იქნება, თუ



მხოლოდ ფაფახების ნოვაციას არ დავჯერდებით და კვლავაც სრული დატვირთვით ავამოქმედებთ ჩვენს რეფორმატორულ აზროვნებას.

ურიგო არ იქნებოდა, მაგალითად, სახელმწიფო სათათბიროს რიგითი დეპუტატებისთვის თახვის ბეწვის ქუდები დაგვერიგებინა, კომიტეტების თავმჯდომარეებისთვის — სიასამურის. ფედერაციის საბჭოს წევრებისთვის სავალდებულო ყოფილიყო პლიუმაჟის ტარება, რუსეთის მთავრობის მინისტრებისთვის — კივერის, პრემიერ-მინისტრისთვის კი — ეკლიანი გვირგვინის...

**ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА**

ⓞ საეკლესიო კალენდარი

# იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატი

**25 ოქტომბერს ქართული სამოციქულო ეკლესია იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ხსენებას დღესასწაულობს**

**ქრისტეს ამაღლებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატი ლუკა მახარებელმა შექმნა გეთსემანიაში.**

453 წელს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს. ბიზანტიელმა მეომრებმა ამ ხატის მეოხებით მომხდურ სკვითთა ლაშქარი უკუაგდეს.

988 წელს ღვთისმშობლის ხატი კორსუნში გადააბრძანეს და კიევის, დიდ მთავარს, მოციქულთასწორ ვლადიმირს უბოძეს; ხოლო როცა ნოვგოროდელები გაქრისტიანდნენ, ვლადიმირმა ხატი მათ გადასცა საჩუქრად.

1571 წელს ივანე მრისხანემ ქალაქი დაარბია და სიწმინდე მოსკოვის მიძინების ტაძარში გადააბრძანეს.

1812 წელს ნაპოლეონის თავდასხმის შემდეგ ხატი დაიკარგა, მაგრამ მის ადგილას დააბრძანეს ძველი, ნამდვილი ასლი, რომელიც მოსკოვის ღვთისმშობლის შობის ეკლესიიდან გადმოიტანეს.



**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ**

ⓞ კრიმინალი

# მშფოთვარე დღეებში იმერეთში

**იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სპეცდანაყოფი და სამტრედიის პოლიციის მთლიანი შემადგენლობა კვლავ საგანგებო რეჟიმშია გადაყვანილი. 23 ოქტომბერს სამართალდამცველები მთელი ღამის მანძილზე სამძებრო ღონისძიებებს ახორციელებდნენ. სამართალდამცველები ყაჩაღური დაჯგუფების იმ წევრებს ეძებენ, რომლებიც, სავარაუდოდ, სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში არიან მიმალულები.**

**გავრცელებული ინფორმაციით, კრიმინალთა დაჯგუფების წევრები დადგენილია. ასევე ამოცნობილია მამაკაცის გვამი, რომელიც სამართალდამცველებმა მას შემდეგ მოკლეს, რაც მან ცეცხლი გახსნა. იგი კრიმინალური დაჯგუფების წევრი, სამტრედიაში მცხოვრები ვანო ჯავშეიშვილი აღმოჩნდა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა განაცხადა, რომ ჯავშეიშვილი წარსულში ნასამართლევი იყო და იგი სასჯელს ყაჩაღობისათვის იხდიდა.**

**ინტერპრესნიუსი**

# გახსენება

## ნოდარ ბერძენაძე



აგერ უკვე ორმოცი დღე გავიდა უშენოდ... ორმოცი დღის მანძილზე ცრემლი არ შეშრობია შენს საყვარელ ოჯახს, რომლისთვისაც თავდადებული იყავი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ძალზე ძნელი ყოფილა შენისთანა ადამიანის დაკარგვა. მთელი შენი უწყინარი ცხოვრებითა და საქმიანობით მაგალითი იყავი ბევრისთვის.

თავად ცხოვრებამ დაგანათლა სიბრძნე და სიდარბაისლე, დიდთან დიდი იყავი და პატარასთან პატარა. დინჯი და მოზომილი, გემრიელი იუმორით შეზავებული სიტყვა ადამიანებთან ურთიერთობას გიადვილებდა, ჭკუას გეკითხებოდნენ, შენს რჩევა-დარიგებას სიამოვნებით იღებდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც უშენოდ დაიწყო ეს სასწავლო წელი, დიდი დანაკლისია უშენობა. მიმდინარე სასწავლო წელს ველარ გაიგონებენ შენს ხმას მომავალი ეკონომისტები და ველარ მიიღებენ შენგან მამაშვილურ დარიგებებს.

გვინდა, სასუფევლისკენ გზა დაგილოცოთ...
მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

**ოჯახი.**



მეუღლე მარინა კოშკაძე, შვილები მაკა, ჯაბა, რძალი სალომე ჩარკვიანი, შვილიშვილები ლიზი, ანა, ძმა გივი, ძმისწული ბიბო, რძლები ნაზიკო, მაია, ხათუნა ლომიძეები, სიდედრი ლიანა ჩიქოვანი, ცოლისდები მანანა, თინიკო, ცოლისძმა თემურ კოშკაძეები, ქვისლები ლუდვიგ ღალანიძე, ბესო მხეიძე, ბიძაშვილები მაია, გელა გვიმრაძეები, ანგელინა, მედიკო, დათო ლომიძეები, მძახლები თენგიზ, მანანა ჩარკვიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩევან ბიძინას ძე ლომიძე**

პანაშვიდი 25, 26 X 17 სთ. გამოსვენება 27 X, ვაკის სამების ტაძრიდან, 14 სთ.

---

მემნუნე, ლევან, მანანა, თენგიზ, ლევანიკო, ლანა, მერი, ოთარ ჩარკვიანები, ნინო, რეზო, ზაზა, მანანიკო ციციშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი იურისტი, შესანიშნავი პიროვნება

**არჩევან ლომიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლუიზა თავართქილაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი

**არჩევან ლომიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ალეკო თავართქილაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი

**არჩევან ლომიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მედეა მეზვრიშვილი, ლეილა კიკნაძე, ცისანა ჩიხლაძე, თამარ ხუციშვილი სამძიმარს უცხადებენ ნელი გურგენიძეს სიძის

**გია ოთარის ძე ბრეგვაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანაუგრძნობს ასოციაციის თანათავმჯდომარეს ქალბატონ ნელი გურგენიძეს სიძის

**გია ბრეგვაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ლუირა, ნოდარი, თამრიკო, რძალი ნანი, სიძეები ვანო, ბორისი, შვილიშვილები ირაკლი, მაია, რევაზი ოჯახებით, კარლო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუბა ლევანის ასული კორაშვილი**

პანაშვიდი 24 X 17 სთ. გამოსვენება: 25 X 14 სთ-ზე, თბილისი, კახეთის გზატკეცილი 36/3.

---

კომპანია „მარტინ ბაუერის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთავარ ბუღალტერს ბატონ ბესო ფაჩუაშვილს ძმის

**ნუკრი ფაჩუაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რჯინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.